

ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ნანა მახარაძე

უცხო ენის სწავლების ტრადიციული და თანამედროვე
მეთოდების შედარებითი ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

თამილა ჩურკვეიძე

ბიჭაური

2021

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად .

განცხადების ტექსტის ავტორი: ნანა მახარაძე

ხელმოწერა:

თარიღი:

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში „უცხო ენის სწავლების ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების შედარებითი ანალიზი“, წარმოდგენილია უცხო ენების სწავლების მეთოდის როლი ადრეული პერიოდიდან დღემდე, თუ რამდენად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა მეთოდების გამოყენება სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

პრაქტიკული კვლევისათვის გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: მასწავლებელთა მასობრივ გამოკითხვა და ემპირიულ გამოკითხვა. კვლევის მიზანია, თეორიული მასალის საფუძველზე, ემპირიულ კვლევაზე და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, დადგინდეს, თუ რამდენად აქტიურად გამოიყენებენ მასწავლებლები ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს უცხო ენის შესწავლისას და რამდენად ზრდის ეს მიდგომები მოსწავლეებში უცხო ენის შესწავლის სტიმულს და მოტივაციას საგნის მიმართ.

დღესდღეობით ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ უცხო ენების სწავლების მეთოდიკა მეტად მნიშვნელოვანი და მოთხოვნადია. შესაბამისად ეს პროცესი განპირობებულია უამრავი ფაქტორით. უცხო ენის მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პროცესი უფრო ინტელექტუალური, საინტერესო და სახალისო გახადონ. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ კვლევა საკმაოდ აქტუალურია.

კვლევის დასკვნით ნაწილში დანართის, დიაგრამების და ცხრილის სახით წარმოდგენილია კითხვარი და შედეგები, რომლებიც კვლევისათვის გამოვიყენე. ვფიქრობ, ეს კვლევა საინტერესო იქნება განათლების სტუდენტებისათვის, ინგლისური ენის როგორც დამწყები, ასევე ამოცდილი მასწავლებლებისათვის.

Abstract

The master's thesis, "Comparative Analysis of Traditional and Modern Methods of Foreign Language Teaching", presents the role of foreign language teaching methods from an early period to the present, and shows how the use of methods in schools and universities has evolved and improved.

Both qualitative and quantitative research methods are used for practical research: mass survey of teachers and empirical survey.

The principal **objective** of the research is to determine how actively teachers use traditional and modern methods in foreign language teaching process and how much these approaches increase the incentive and motivation for students to learn a foreign language, which is based on theoretical material, empirical research and analysis of survey results.

It is well known today that the methodology of teaching foreign languages is very important and in demand. Consequently, this process is conditioned by too many factors. Foreign language teachers try to make the learning process more intelligent, interesting and fun. Therefore it can be said that the research is quite **urgent**.

The concluding part of the study presents the questionnaire and the results reflected in the diagrams and tables. I think this study will be interesting for education students, as well as for both beginners and experienced English teachers.

შინაარსი

შესავალი.....	6
თავი I. განათლების და პედაგოგიკის განვითარება ადრეული საუკუნეებიდან XX ს-ის ბოლომდე.....	7
1.1 განათლების საკითხების მიმოხილვა ადრეულ საუკუნეებში.....	7
1.2 XIX საუკუნე - უცხო ენის მიმართულება.....	15
1.3 XX საუკუნე - უცხო ენის მიმართულება.....	20
დასკვნა.....	24
თავი II. ტრადიციული და თანამედროვე სწავლების მეთოდების შედარება.....	25
2.1 ტრადიციული მეთოდების სახეები.....	25
2.2 გრამატიკის სწავლება ტრადიციული მეთოდების მიხედვით	37
2.3 უცხოური ენის სწავლების მეთოდების გამოყენებითი მნიშვნელობა.....	48
დასკვნა.....	51
თავი III. კვლევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენება დღევანდელი სასწავლო პროცესები.....	52
3.1 კითხვარი მასწავლებლებისთვის	52
3.2 ცხრილი, დანართები და დიაგრამები.....	55
3.3 სახელმძღვანელოების შედარება.....	59
დასკვნა.....	68
გამოყენებული ლიტერატურა.....	69

შესავალი

ნაშრომის სიახლეს - აქტუალობას წარმოადგენს: თანამედროვე საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი, რომ უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგია მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია საგაკვეთილო პროცესში, შესაბამისად ეს ყველაფერი განპირობებულია უამრავი ფაქტორით. უცხო ენის მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პროცესი უფრო ინტელექტუალური, საინტერესო და სახალისო გახადონ. აქედან გამომდინარე მასწავლებელთა უმრავლესობა უცხო ენის სწავლებისას იყენებს კომბინირებულ მეთოდებს, რაც ასევე განპირობებულია მოსწავლის შეძლებისამებრ.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას : ის წარმოადგენს, რომ ნაშრომში არსებული კვლევა პედაგოგებსა, თუ მკვლევარს დაეხმარება იმ სტატისტიკის დადგენასა და შედარებაში თუ რამდენად ხშირად იყენებენ პედაგოგები უცხო ენის სწავლების მიდგომებს, მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესისა და მოტივაციის ასამაღლებლად და რამდენად შედეგიანია ისინი მოსწავლეებში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისთვის შეიქმნა კითხვარი მასწავლებლებისთვის, პასუხის მიღების შემდეგ დადგინდა პროცენტული მაჩვენებლები დიაგრამისა და ცხრილის სახით და შემდგომ უკვე გაკეთდა დასკვნა.

ნაშრომის მასალად (საკვლევი ობიექტი): გამოყენებულია სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებუ და ინგლისური ენის სახელმძღვანელოები, ასევე მეთოდოლოგიური სტატიები და უკვე არსებული კვლევები მიმდინარე თემასთან დაკავშირებით.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამი ძირითადი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I

განათლების და პედაგოგიკის განვითარება ადრეული საუკუნეებიდან XX ს-ის ბოლომდე.

1.1. უცხოური ენის სწავლების წინაპირობები ადრეულ საუკუნეებში

თანამედროვე საზოგადოებას რატომღაც მიაჩნია, რომ საქართველოში განათლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის აღიარება და მისი განვითარება ბოლო საუკუნეების მონაპოვარია. ეს შეხედულება შეიძლება განპირობებული იყოს იმ ფაქტორით, რომ ისტორიის სახელმძღვანელოებში შესაბამისი ინფორმაცია საკმაოდ მწირად, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, შევეცდები განათლების განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების მოკლე ექსკურსი წარმოვადგინო.

საგანმანათლებლო იდეები და მეცნიერება ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან თანხვედრაშია, რამდენადაც ისტორიული რეალობიდან გამომდინარე ერთის განვითარება მეორის წარმოშობას იწვევს. თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში წიგნები იწერებოდა, რომელსაც წინ ანბანის შექმნა უძღოდა, თავისთავად განათლებისა და ინტელექტუალური განვითარების მაღალი ხარისხის თვალსაჩინო ინდიკატორია. მოგვიანებით საქართველოში ყოველივე ამან თავისებური სპეციფიკური ნიშნები შეიძინა. XII ს. საქართველოში მეცნიერების განვითარება საერთო განათლების მაღალ დონეს მოითხოვდა. XVI-XVII საუკუნეებში კულტურის საერთო გამოცოცხლება სწავლა-განათლების საქმისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების პრობლემებს სახავდა. განმანათლებლობის დროშით პირველი გამოვიდა არჩილი, რომლის საქმის გამგრძელებელი და მემკვიდრეები იყვნენ სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი. XII საუკუნეს საქართველო გაერთიანებული და ერთმმართველურ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოდ შეხვდა. ამ დროისათვის

განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა, მშენებლობა და სხვა დარგები.

XII-XVIII საუკუნეები საქართველოში აგებული მონასტრები არქიტექტურული გაფორმებით და მონოლითურობით დღესაც დიდ ყურადღებას იპყრობენ (ბაგრატის ტაძარი - ქუთაისში, სვეტიცხოველი - მცხეთაში, ბედიისა - აფხაზეთში, ალავერდი-კახეთში, იკორტის, ბერთუბნის, ბეთანიის, გელათის და სხვა ტაძრები). ამ პერიოდისათვის როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთაც შენდებოდა ბევრი მონასტერი, რომლებიც ხშირად კულტურის მნიშვნელოვან კერებად იყო მიჩნეული. ძირითადად აქ ხდებოდა ლიტერატურულ-კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ათონის ივერიის მონასტერს ჰქონდა (საბერძნეთის ტერიტორიაზე). აღნიშნული მონასტრები, სადაც დიდი მთარგმნელობითი და შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა, გზად და ხიდად დაედო ქართულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობის განვითარებას. საქართველოს გარეთ მყოფ აქ ნახსენების გარდა და სხვა (შავი მთის, სინას, ჯვარის) ქართულ მონასტრებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან და ყველას ერთად - საქართველოსთან, სადაც ვრცელდებოდა და იგზავნებოდა ნათარგმნი თუ ორიგინალური ხასიათის ლიტერატურა.

XII საუკუნეში საერო მწერლობამ განვითარების უმაღლესი მწვერვალები დაიპყრო. შეიქმნა იოანე შავთელის „აბდულმესია“, ჩახრუხაძის „თამარიანი“ და შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება - „ვეფხისტყაოსანი“. განვითარდა მთარგმნელობითი მოღვაწეობა; ამის ნათელი მაგალითია „ვისრამიანის“ მაღალმხატვრული პროზაული ნათარგმნი. სწორედ ეს ფაქტი განსაკუთრებით საყურადღებოა ჩემი პირადი პოზიციიდან, რამდენადაც ის ადასტურებს უცხო ენის შესწავლის კულტურის საკმაოდ ძველ, ღრმა და სერიოზულ ნიშანდობლივ ტრადიციას.

XI – XII სს. საქართველოში კულტურის საერთო დონის განვითარებას სწავლა - განათლების საქმის აღმავლობაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა და მას ძველთაგანვე საკმაოდ მძლავრი ტრადიცია ჰქონდა.

ბოლო ხანებში ჩატარებულმა კვლევამ აშკარად დაგვანახა, რომ ამ დროისათვის ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლების რიცხვი საკმაოდ დიდია. ამ სკოლებში ასწავლიდნენ „მოდუარნი“ (მასწავლებლები), რომელთა შორის ზოგიერთი ცნობილიც იყო. მაგალითად, ხახულის მონასტერში მოღვაწე ილარიონ თუალელი „მოდვრებათა შინა“ (ე.ი. მასწავლებლობაში) და მთარგმნელობით მოღვაწეობაში განთქმული და დახელოვნებული ყოფილა. გიორგი მცირე (XII) „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ შემდეგნაირად აღწერს წმიდა ილარიონ თუალელს: „ვითარცა მთიები ბრწყინავდა კრებულსა შორის მამათასა, რომლისა სათნოებათა და მოღვაწეებათაჲ წარმოთქუმა შეუძლებელ არს“.

ძველად საქართველოში სწავლება ჯგუფური წესით მიმდინარეობდა, ე.ი. შემსწავლელებს ასაკის მიხედვით ჯგუფებად ყოფდნენ და ისე ასწავლიდნენ. ამ სკოლებში ისწავლებოდა თეოლოგია, უცხო ენა, ჰიმნოგრაფიკა, ფილოსოფია და ქართული მწიგნობრობა, რისთვისაც უპირველესად ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებები გამოიყენებოდა.

XI – XII სს. ქართველ მოღვაწეთა ნაშრომებში მეტად საინტერესო პედაგოგიური შეხედულებანი გვხვდება, რომელთაგან ზოგიერთი დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას.

საყოველთაოდ არის მიჩნეული რომ საქართველოს ე.წ. „ოქროს ხანის“ პერიოდი - XI-XII საუკუნეები ევროპული აღორძინების ხანის დასაბამი და წინმძღვარი პროცესების ეპოქა იყო. ევროპულ სქოლატიზმს ქართული თავისუფალი აზროვნების ფართოდ გავრცელებული სიმპტომები უპირისპირდებოდა, რაც განპირობებული იყო იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერებით, რომელსაც ერთმმართველურ ცენტრალიზებული

სისტემის განვითარება უწყობდა ხელს. რა თქმა უნდა, ქვეყნის კულტურული განვითარება ეკონომიკურ-პოლიტიკურ აღმავლობის კანონზომიერი შედეგია. კულტურისა და საგანმანათლებლო სფეროს აქტიურობის ერთ-ერთი წინაპირობა საქართველოს ბიზანტიის იმპერიასთან ინტენსიური და ახლო ურთიერთობის ფაქტორი წარმოადგენდა. თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოში მკვეთრად შეიმჩნეოდა დასავლურ-აღმოსავლური კულტურათა სინთეზი, რომელშიც უდავოდ ბიზანტიური გავლენა უფრო დომინირებდა, თუმცა ამ შტრიხებს ქართული თვითმყოფადობა საკუთარ ჭრილში მოაქცევდა, უფრო მეტიც, თვით ამ კულტურათა მიმართულელებაში შეჰქონდა საკუთარი ელემენტები.

ფიზიკური და გონებრივი აღზრდის თანაფარდობის მნიშვნელობა საქართველოში უძველესი დროიდანვე მინიშნებული იყო. ამის დამადასტურებელი ცნობებია კოლხეთის რიტორიკული სკოლისა და ქართველი დიდებულების ფიზიკური გაწვრთნილობის ტრადიციების შესახებ. გონებრივი განათლების მიღება, რიტორიკის ცოდნა, ფილოსოფიის, ქართველი დიდებულებისათვის ისეთივე აუცილებელი და პრაქტიკული მნიშვნელობის იყო, როგორც რომაულ და ძველბერძნულ სამყაროში.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებამ განათლების საქმეს ერთგვარი რეგლამენტებული სახე მისცა, მაგრამ ფილოსოფიის ცოდნა კვლავ აუცილებლობად იყო მიჩნეული, ოღონდ ამიერიდან იგი თეოლოგიასთან იყო შერწყმული და მისი საჭიროებისათვის გამოყენებული.

ნიშანდობლივია, რომ გვიანი რეფორმისტების და სხვათა შეხედულებებში ვაწყდებით გიორგი მთაწმინდელის მოთხოვნებს სწავლების საყოველთაო ხასიათის შემოღების შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მთაწმინდელი ამ საკითხს განსხვავებული მოტივაციით წარმოაჩენს, მაგრამ არსობრივი დანიშნულება განათლების საყოველთაობისა აბსოლუტურად მისაღებია. მისი შეხედულებით უფალს „ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხორება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებასა მოსვლა“, რაც გულისხმობს, რომ ყოველი ცოცხალი ადამიანი უნდა ეუფლებოდეს განათლების

მადლს. ამ მოსაზრების დადასტურება ის ფაქტი გახლავთ, რომ გიორგი მთაწმინდელმა მთელი საქართველოს მასშტაბით წოდებრივი განსხვავების გარეშე შეარჩია ბავშვები, რათა ისინი განესწავლა და ათონზე წასაყვანად მოემზადებინა (გამსახურდია 1968; 8).

აღსაზრდელთა ასაკობრივ თავისებურებების გათვალისწინებით გიორგი მთაწმინდელს თავისი სკოლა ჰქონდა გახსნილი, სადაც იგი მოსწავლეებს ჯგუფებად (კლასებად) ყოფდა და ისე ასწავლიდა. მოსწავლეთა ჯგუფური სწავლების ეს ფორმა, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმინდელის დროს და ადრეულ საქართველოშიც შეიმჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ აქ საკლასო-საგაკვეთილო სისტემის მსგავსი ელემენტების არსებობასთან გვაქვს საქმე, რომელიც შემდგომში ი. კომენსკიმ გამოიყენა. მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურების გათვალისწინებასთან ერთად, გიორგი მთაწმინდელი მათ ინდივიდუალურ თავისებურებებსაც ითვალისწინებდა (ამასაც კლასიკურსა და ჰუმანისტურ პედაგოგიურ შეხედულებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველქართული წყაროებით თითქმის ყველა დიდგვაროვანი განათლებული იყო. საშუალო განათლების მიღება აზნაურისთვის აუცილებელი პირობა იყო. ამკარაა ისიც რომ, XII ს-ის დასაწყისამდე მხოლოდ საშუალო განათლების მიღება შეეძლოთ. VI საუკუნიდან XII საუკუნემდე საქართველოში უმაღლესი განათლების ცენტრი არ ყოფილა. ეს გასაკვირიც არაა, რადგან არაბთა ბატონობამ და საერთო სამთავროებად დაშლამ, განათლებაზე დიდად იმოქმედა, ამ პერიოდში არ არსებობდა უმაღლესი სკოლის შექმნის პირობები. ასე რომ, XI საუკუნიდან სწავლის გაგრძელების მსურველი დიდგვაროვნები მიემგზავრებოდნენ ბიზანტიაში, სადაც ისინი კონსტანტინე იმპერატორის სახელობის მანგანის აკადემიაში ლებულობდნენ განათლებას.

იმ ფაქტმა, რომ საქართველო XI-XII საუკუნეებში წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ერთეულს, დღის წესრიგში დააყენა კვალიფიციური განათლებისათვის საჭირო სასწავლებლების შექმნის საკითხი. შესაბამისად, XII

საუკუნის დასაწყისში (1106წ) დავით აღმაშენებლის მიერ გელათის აკადემიის დაარსება კანონზომიერი მოვლენა იყო. დავითმა აკადემიაში მოიწვია და იქვე დაამკვიდრა „კაცნი ქუეყნისა კიდეთათ სადაცა ესმა ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა და აღსავსეობა“ (გამსახურდია 1968; 12).

ცოტა მოგვიანებით, როგორც ჩანს, უმაღლესი განათლების კერების გაზრდის გამო არსენ იყალთოელმა აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, იყალთოში დაარსა აკადემია. იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის მოღვაწეობაც გვიდასტურებს, რომ ამ კერაში სწავლება მაღალ აკადემიურ დონეზე მიმდინარეობდა. უნდა აღინიშნოს, რომ იოანე პეტრიწის პრიორიტეტი პუნქტუაციის დაცვა გახლდათ. ის ცოდნის მიღების დინამიკას საფეხურებრივი პრინციპის საფუძველზე აგებდა, ანუ მარტივიდან რთულისკენ, კონკრეტული მაგალითებიდან ზოგადი პრინციპის ჩამოყალიბებისაკენ ისწრაფვოდა. დიდ ყურადღებას უთმობდა შემეცნებით პროცესს და მოწაფეთა შემოქმედებით შესაძლებლობებს. ასევე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი მთარგმნელობით საქმიანობაში, რამდენადაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო ე.წ. „სიბრძნისმეტყველება“, რომელსაც ის „გადმოიღებდა“ ხოლმე, რათა ქვეყანაში ფილოსოფიური აზროვნების ძლიერი ფონი შექმნილიყო. იოანე პეტრიწი არ კმაყოფილდებოდა საქართველოში დამკვიდრებული იმ მეთოდით, რომლითაც ხდებოდა ფილოსოფიური ლიტერატურის გავრცელება. თუ მანამდე ხდებოდა დიდი ბერძენი მოაზროვნეების - არისტოტელეს, სოფოკლეს და სხვათა შრომების ფრაგმენტული შემოტანა, რომლებიც სქოლასტიკურ ფილოსოფიაში გადამუშავდებოდა ხოლმე. ამის სანაცვლოდ ი. პეტრიწი ქართული საზოგადოებისათვის ბერძენ ფილოსოფოსთა თხზულებების სრულყოფილი თარგმანის მიწოდებას უწყობდა ხელს, თან ამ თხზულებებს თავის წინასიტყვაობებსა და განმარტებებსაც დაურთავდა, რაც ბუნებრივია, მის ღრმად განსწავლულობასა და და სრულიად ახალი რანგის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზე თვალნათლივ მეტყველებს. საინტერესოა პლატონის

ფილოსოფიის პეტრიწისეული ხედვა, სადაც პლატონისეული „ერთის“ – „უმაღლესი სიკეთის“ ცნება „მამა ღმერთის“ საკითხის კვლევას დაუკავშირა (გამსახურდია 1968; 14).

XVI და განსაკუთრებით XVII- XVIII სს. ქართველი მოღვაწეები თავიანთ საგანმანათლებლო მუშაობას არსებული ვითარების შედეგების ლიკვიდაციისაკენ მიმართავენ.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი, ე.ი. პერიოდი, როდესაც ვახტანგ VI, „სწავლული კაცებით“ გარშემოტყმული, კულტურულ საქმიანობას ეწეოდა, XVI – XVIII სს. აღორძინების ხანის ყველაზე შემოქმედებითი და კულმინაციური ეტაპი იყო.

არჩილის „საქართველოს ზნეობანი“ სახელმძღვანელო თხზულების სახითაა დაწერილი, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა იყოს ცოდნის ის აუცილებელი მინიმუმი, რაც საქართველოში განათლებული ფეოდალი რაინდისთვის ტრადიციულად სავალდებულო იყო.

სიტყვა „ზნეობა“ მრავლისმთქმელია, ის უპირველესად მაღალ მორალს, პატიოსნებას. ურთიერთშემწყნარებლობას და მოყვასისადმი პატივისცემას გამოხატავს, რომელიც მაღალი ღირებულებებით აღზრდილი ადამიანის თვისებად ყალიბდება. ხოლო ამ თვისებების ფორმირება აღზრდის პროცესში, წვრთნისა და სწავლების საშუალებით ხდებოდა. არჩილის შეხედულებით „ყოველი ცოდნა ზნეობაა“, რომელსაც, ისევე როგორც მეცნიერებას, ზნეობასაც შესწავლა სჭირდება.

XVII საუკუნეში განათლების ერთ-ერთმა უძლიერესმა მებაირახტრემ - სულხან-საბა ორბელიანმა სრულიად ახალი აღმზრდელობითი თეორიები შემოიტანა თავისი უდავოდ ორიგინალური ჟანრის კრებულით „სიბრძნე-სიცრუისა“. თავისი საყოველთაოდ ცნობილი იგავ-არაკებით ავტორი ზნეობის, სიბრძნის გაკვეთილებს გამოგონილი, შეთხზული ისტორიებით გადასცემს მკითხველს. სულხან-საბა ორბელიანი სრულიად ახლებურ იდეურ მიდგომას წარმოგვიდგენს

აღზრდის საკითხთან მიმართებაში, რაც მკვეთრად განსხვავდება ადრე დამკვიდრებული აღზრდის სისტემისაგან. მის მიერ შექმნილი ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ ავტორს შემოაქვს სრულიად განსხვავებული - ბუნებრივი წვრთნის, აღზრდის მოძღვრება, რომელიც მიმართულია საღი შემეცნების, ძლიერი ფიზიკური მონაცემის მქონე და მაღალზნობრივი პიროვნების ჩამოყალიბებისაკენ.

გარდა „სიბრძნე-სიცრუისა“ და მის მიერ წარმოებული საგანმანათლებლო მოღვაწეობისა, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, იგივე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი უძვირფასესი განძია ქართული სამეცნიერო კულტურისათვის, რომელსაც თავისი აქტუალობა არც ჩვენს თანამედროვე მეცნიერ-ლინგვისტთა საზოგადოებაში დაუკარგავს ან დრო-ჟამისაგან გაცრეცილა. ეს საკმაოდ ხანგრძლივი, 30 წლიანი დაუღალავი შრომისა და კვლევის ნაყოფია, რომელშიც ყოველი სიტყვა, ტერმინი თუ ფრაზა უზუსტესი მეცნიერული დაკვირვების და გადამოწმების შედეგად არის შეტანილი, და სავარაუდოდ უამრავი წყარო და ლიტერატურა აქვს დამუშავებული. ლექსიკონის შექმნა არაპირდაპირ, თუმცა მაინც ატარებდა საგანმანათლებლო შინაარსს, რადგან მან დაიცვა ქართული ენის სისუფთავე და ხელი შეუშალა სიტყვების დამახინჯებას, გაქრობას, და რაც მთავარია, უცხოური სიტყვების არამიზნობრივად დამკვიდრებას სამეტყველო ენაში. უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა უკვე დამკვიდრებული უცხოური სიტყვების წარმომავლობასაც მიუთითებს, რითაც მისი „სიტყვის კონა“ კიდევ უფრო მეტ მეცნიერულ ღირებულებას იძენს. (გამსახურდია 1968; 31)

XVII- XVIII სს. ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო იდეები ერთი გარკვეული მიმართულებით ვითარდება. ამას ერთი და იგივე ისტორიული პირობები განსაზღვრავს. შეხედულებათა ერთ სახეობის შედეგად შეგონებებისა თუ თემის შერჩევაში გარკვეულ ურთიერთგავლენასაც ვხვდებით. განსაკუთრებით ეს დავით გურამაშვილის შემოქმედებაზე ითქმის, სადაც არჩილისეული გავლენა მეტად შეიმჩნევა. მაგრამ, ამასთანავე, თავისი საგანმანათლებლო იდეებით

დ.გურამიშვილი უფრო შორსაც მიდის. მისი შეგონებით ცხოვრების მოწესრიგების საქმე თვითონ ადამიანთა ხელშია, საამისოდ მათ ყველა პირობა აქვთ. ხოლო ეს რომ შეიგნონ ადამიანებმა, საჭიროა, ისწავლონ, განათლება მიიღონ. ბავშვობიდანვე სწორად უნდა წარმართოს მათი გონებრივი აღზრდა, თუმცა, მისი ზრით, ეს საკმარისი როდია. აღზრდაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ზნეობრივ აღზრდას უნდა ეკავოს, რომელიც მამა - პაპათა მდიდარი ტრადიციული მემკვიდრეობის ათვისებას გულისხმობს. ასეთია ქართული მეცნიერებისა და საგანმანათლებლო იდეების განვითარების გზა.

1.2 XIX საუკუნე - უცხო ენის მიმართულება

უცხო ენების სწავლებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ მე-4 საუკუნიდანვე ბერძნული ენა სავალდებულო საგნად ისწავლებოდა დასავლეთ საქართველოს ბერძნულ-ქართულ რიტორიკულ სკოლაში. ბერძნული ენის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე მიუთითებს, ის რომ უამრავი ნაწარმოებია ნათარგმნი ქართულიდან ბერძნულად და ბერძნულიდან - ქართულად. პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობებით იყო განპირობებული ასევე სპარსული და არაბული ენების სწავლება და ამ ენებიდან ლიტერატურული, რელიგიური და ფილოსოფიური ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა.

უცხოური ენის შესწავლისადმი ცხოველი ინტერესი და აქტუალობა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საქართველოში ე.წ. აღორძინების, იგივე „ოქროს ხანის“ პერიოდში, როდესაც ის მთელი წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა. უცხოური ენის შესასწავლად ახალგაზრდობას უმეტესწილად საზღვარგარეთ გზავნიდნენ, ამავდროულად მონასტრებსა და ქართულ აკადემიებში ინტენსიურად მიმდინარეობდა გაცხოველებული მთარგმნელობითი მოღვაწეობა და შესაბამისად იყალთოს, გელათის აკადემიებში მიმდინარეობდა უცხოური ენების სავალდებულო სწავლება, განსაკუთრებით ბერძნული, სპარსული, არაბული და სირიული ენებისა.

მე-17 საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთევროპული ენების სწავლებაც შემოვიდა. თბილისის კათოლიკურ სკოლაში ისწავლებოდა ლათინური ენა და 1714 წელს პირველად დაარსებულ ფრანგული კოლეჯში - ფრანგული ენა.

მე-19 საუკუნიდან ლათინურ და ბერძნულ ენებიდან ერთად გერმანული და ფრანგული ენებიც ისწავლებოდა, ამავე პერიოდში რუსული ენის სწავლებაც გახდა სავალდებულო, მიზეზი საქართველოს რუსეთზე, როგორც ჯერ დამპყრობელ ცარისტულ, შემდეგ კი კომუნისტურ იმპერიაზე იძულებითი პოლიტიკური დამოკიდებულების, ასევე აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის დომინანტური გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო.

პირველი უცხოური ენების შემსწავლელი სკოლა თბილისში 1864 წელს გაიხსნა. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, 1978 წელს დაარსდა გერმანული გიმნაზია, რომელიც 1941 წლამდე ფუნქციონირებდა. რა თქმა უნდა, უცხოური ენების სწავლება კლასიკური, გრამატიკულ-მთარგმნელობითი და ბუნებრიობის მეთოდთა გამოყენებით მიმდინარეობდა, რაც თავითავად მოითხოვდა მშობლიური ენის გრამატიკის საფუძვლიან ცოდნას, რაზეც ძირითადი აქცენტი იყო გადატანილი.

საქართველოში ინგლისური ენის სწავლება 1926 წლით თარიღდება. ზუსტად მაშინ, როდესაც მაშინდელმა თბილისის ხუთწლიანმა უცხო ენათა უმაღლესმა კურსებმა (რომლებიც 1928 წელს გადაკეთდა უცხო ენათა ხუთწლიან ინსტიტუტად და 1931 წელს კი შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს) დაიწყო ინგლისური ენის მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა გამოშვება. ამ პერიოდისთვის ჩვენს სკოლებში მხოლოდ ფრანგული და გერმანული ენები ისწავლებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში უცხოური ენების სწავლების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით არის წარმოდგენილი, რასაც სხვადასხვა დროის ქართველთა შესაბამისი ღრმა განსწავლულობა მიუთითებს. ეს ტრადიცია ბუნებრივად გადმოვიდა მე-19 საუკუნეშიც. ეს ეპოქა თავისთავად განათლების განსაკუთრებული აღმავლობით გამოირჩეოდა, და აკადემიური სწავლების ფართო სპექტრში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა უცხოური ენის შესწავლას, თვით იმდროინდელი საზოგადო მოღვაწენი და საგანმანათლებლო მოძრაობის წარმომადგენლები (ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, დ. ყიფიანი) რამდენიმე ენას ფლობდნენ და ხაზს უსვამდნენ უცხოური ენების შესწავლას „შეგნებულობის“ პრინციპზე დაყრდნობით მშობლიური ენის სათანადო დონეზე ათვისების შემდეგ. (შავერდაშვილი, 2014: 199)

<i>უცხოური ენების სწავლება საქართველოში (IV-19 სკ.)</i>
<p>IV სკ. ბერძნული ენა ბერძნული - ქართულ რიტორიკულ სკოლაში (დასავლეთი საქართველო)</p>
<p>XII –XIII სკ. ბერძნული, სირიული, სპარსული, არაბული. გელათისა და იყალთოს აკადემიაში.</p>
<p>XVII – XVIII სკ. ლათინური ენა კათოლიკურ სკოლაში (1672წ) ფრანგული ენა პირველ ფრანგულ კოლეჯში (1714წ)</p>
<p>XIX სკ. ცარიზმის ავტორიტარულ სკოლაში: რუსული ენა როგორც გაბატონებული ენა აზერბაიჯანული, ფრანგული (1820 წლიდან) და ლათინური როგორც უცხოური ენები</p>
<p>1805 წ. გერმანული „ელიტარულ სკოლაში“</p>
<p>1807 წ. რუსული, თათრული, გერმანული, ფრანგული და ლათინური. „კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში“, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა.</p>
<p>1864 წ. უცხოური ენების პირველი გახსნა თბილისში</p>
<p>1871წ. გერმანული, შემდეგ კი ფრანგული და ბერძნული ენები, როგორც არჩევითი საგანი მე-4 კლასიდან თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში.</p>
<p>1873 წ. გერმანული და ფრანგული ენები, როგორც სავალდებულო საგნები II-V კლასებში ენა (მოხსენებულია ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში)</p>

1901- 1905 წ. ფრანგული ან გერმანული (მშობლების არჩევით) შემდეგი
თანმიმდევრობით: I ან II კლასში I უცხოენად, III კლასში II უცხოურ ენად, IV
კლასში ლათინური (სავალდებულო).

უცხოურ ენებს კვირაში სასწავლო საგნების დაახლოებით 25% ეკავა ეროვნულ
სასწავლო გეგმაში.

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, ნებისმიერი საგნის, მათ შორის უცხო ენის სასწავლო გეგმის და თვით სახელმძღვანელოს ყველა დეტალი კონტროლდებოდა ერთიანი საბჭოთა სივრცისათვის ცენტრალურად შემუშავებული სასწავლო გეგმის დოქტრინების მიხედვით, საბჭოთა იდეოლოგიის გატარების მიზნით. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა იმპერიაში შემავალი სხვადასხვა ეროვნული კულტურისა და ტრადიციების მიუხედავად ამ კულტურათა თვითმყოფადობის არც ერთი ელემენტი არ იყო გათვალისწინებული სასწავლო პროგრამებში. ცენტრალური განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური მიდგომა საერთო იყო ყველა რესპუბლიკისათვის, რისი შესრულების ვალდებულებაც ჰქონდათ ადგილობრივ განათლების სტრუქტურებს. დაშვებული იყო მხოლოდ დეკლარირებული მცირედი ცვლილებების შეტანა, რომლებიც არსებით განსხვავებას ვერ ქმნიდა. თუმცა, ეს პროცესი ნაკლებად შეეხო უცხოური ენის სწავლებას და უცხოური ენის სახელმძღვანელოებს. მაშინ როცა სხვა საგნის სახელმძღვანელოები რუსულ ენაზე იწერებოდა და შემდგომ სხვადასხვა ენაზე ხდებოდა მათი თარგმანი, უცხო ენის სახელმძღვანელოების თემატიკა და სტრუქტურა ცალკეულ რესპუბლიკებში მუშავდებოდა ხოლმე, მიუხედავად ამისა, წიგნის შემდგენელები ძირითად დირექტივებს მაინც ცენტრალური განათლების სამინისტროდან იღებდნენ. (შავერდაშვილი, 2014: 203)

ადრეულ საბჭოთა პერიოდში რუსულ სკოლებში უცხოურ ენებად ისწავლებოდა ინგლისური, ფრანგული და გერმანული. არარუსულენოვან სკოლებში და მათ შორის ქართულშიც, პირველი უცხო ენა იყო რუსული, მაგრამ ის არ ისწავლებოდა როგორც უცხოური არჩევითი ენა, არამედ მის შესწავლა სავალდებულო იყო, ეგრეთწოდებულად, როგორც მეორე მშობლიური ენა რუსული. უცხოურ ენებად სკოლებში ძირითადად გერმანული და ფრანგული, მოგვიანებით კი ინგლისური ენა (მერვე და მეცხრე კლასებში) იყო შეთავაზებული.

სასწავლო პროცესში ახლად დაარსებულ მუშათა სკოლებში უცხოურ ენებს ერთი წლის განმავლობაში 60-დან 120 საათამდე ეთმობოდა და არასპეციალისტები ასწავლიდნენ. ბევრ სკოლაში საათების რაოდენობა კიდევ უფრო მცირე იყო ან საერთოდ არ ისწავლებოდა უცხოური ენა, მიზეზი კი მასწავლებელთა ნაკლებობა გახლდათ. ადრეულ ქართულ სკოლებში ძალიან დიდი ხანი არ ისწავლებოდა უცხოური ენები ცალკე საგანდ. საბჭოთა პერიოდის პირველ ორ ათწლეულში ეს მხოლოდ რამდენიმე სკოლაში იყო შესაძლებელი.

პედაგოგები, ვინც საქართველოში უცხოურ ენებს ასწავლიდნენ, შედგენილი სახელმძღვანელოებით მუშაობდნენ, რადგან ახალი საბჭოთა იდეებით გაჯერებული სახელმძღვანელოების შედგენა არც ისე მარტივი იყო. ამ ყველაფერს უფრო დიდი სირთულეებიც ემატებოდა: სპეციალისტების ნაკლებობა და ლექსიკონების, სასწავლო წიგნებისა თუ უცხოური ენის სწავლებისათვის საჭირო დამხმარე საშუალებების არარსებობა. უცხოური ენის სწავლების მთავარ მიზანს კი უცხოენოვანი ტექსტების კითხვა და თარგმნა წარმოადგენდა. საქართველოში საბჭოთა დროისთვის დამკვიდრებული იყო გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, რომელიც გიმნაზიებში, სახელმწიფო სკოლებსა და სასულიერო სემინარებში გამოიყენებოდა, ხოლო გრამატიკულ-ბუნებრივი მეთოდი კერძო სკოლებში ლიცეუმებსა და ინსტიტუტებში.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში უცხო ენის შესწავლისას „მშობლიური ენა“ იმ დროის ქართველ დიდაქტიკოსებთანაც მნიშვნელოვან როლს თამაშდა. ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ი. გოგებაშვილსა და ლ. ბოცვაძეს მიაჩნდათ, რომ მშობლიური ენა უცხოური ენის ათვისებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და უცხოური ენების ინტუიციით შესწავლა უნდა დაუპირისპირდეს ენის თარგმანის დახმარებით შესწავლას.

1.3 XX საუკუნე - უცხო ენის მიმართულება

მე-20 საუკუნის რეფორმა საბჭოთა კავშირის განთლების სისტემაში. პირველი ძირეული რეფორმა 30-იან წლებში დაიწყო სკოლებში, როცა 1932 წლის 25 აგვისტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დაგენილება ბცვლილებების შესახებ სასწავლო სისტემაში გამოქვეყნდა. დადგენილების მიხედვით საბჭოთა კავშირის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენა სხვა საგნებთან ერთად სავალდებულო უნდა ყოფილიყო და საშუალო სკოლის ყველა კურსდამთავრებულს მინიმუმ ერთი უცხოური ენა უნდა სცოდნოდა. რეფორმის გატარების შემდეგ დაიწერა ახალი სასწავლო პროგრამები უცხოური ენის გაკვეთილებისათვის, შედეგად კი ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდებოდა საათების რაოდენობა, მაშინ როცა 1925 წელს, ახალი ტიპის სკოლებში წლის განმავლობაში 240 საათს მოიცავდა, 1931 წელს უცხოური ენის სწავლებას უკვე 442 საათი ეთმობოდა, ხოლო ერთი წლის მოგვიანებით კი - 716.

უცხო ენა ბევრ საბჭოთა რესპუბლიკისათვის და ასევე საქართველოსათვის საჭიროებას წარმოადგენდა, ამ მიზეზით გაიხსნა პირველი პედაგოგიური უცხო ენების ინსტიტუტი და მისი ფაკულტეტები. პირველად დაიწყო უცხო ენის მასწავლებლებისათვის დარგობრივი ჟურნალის გამოცემა სახელწოდებით „**უცხოური ენები სკოლაში**“. ეს იყო დამატებითი დამხმარე მასალის გამოცემა.

საბჭოთა დიდაქტიკაში ეს პერიოდი სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს.

პირველი ეტაპის (1930 წწ.) სასწავლო პროგრამებში უცხოური ენის ათვისების მნიშვნელოვან მიზანს ენის რეცეფციული შესწავლა წარმოადგენდა. მოსწავლეებს ტექსტის წაკითხვის შემდეგ წერილობით უნდა შეედგინათ „**კონსპექტი**“ (ტექსტის მოკლე შინაარსი /აბსტრაქტი) და მის მიხედვით უნდა გადმოეცათ ტექსტის შინაარსი.

მეორე ეტაპის (1934- 1935 წწ.) სასწავლო პროგრამებში იმავე მიზნების უფრო დაწვრილებით და ზუსტად ჩამოყალიბება ხდებოდა.

მესამე ეტაპზე (1934 წლიდან 1940 - იანი წლების დასასრულამდე) წინა პლანზე ლაპარაკი დგება, როგორც ურთიერთობის საშუალება, განსაკუთრებით კი დაწყებით საფეხურზე, როდესაც მოსწავლე გრამატიკულ მოვლენებს ტიპური „ფრაზებისა“ (სტანდარტული წინადადებების) და მყარი გამოთქმების მეშვეობით ავტომატურად, ანალიზის გარეშე უნდა დაუფლებოდა.

1930-იანი წლებში ნებისმიერი უცხო ენის სასწავლო პროგრამა „რომელიც მოსკოვიდან შედგენილი პროგრამების თარგმანი იყო, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემდეგი პუნქტებისაგან შედგებოდა :

სასწავლო მიზნები და ამოცანები, ითვალისწინებდა, რომ მოსწავლეებმა სწავლის დასრულებისათვის შეეძლოთ:

- ინტონაციურად და საწარმოთქმო წესების დაცვით საშუალო სირთულის უცხოენოვანი ტექსტების **სწრაფად კითხვა**;
- უცხოენოვანი მეტყველების **აღქმა-შემეცნება**, კითხვა-პასუხის რეჟიმში **საუბარი**, და საშუალო დონის ტექსტის გააზრება და მისი **ინტერპრირება**;
- უცხოენოვანი ტექსტების **თარგმანი** მშობლიურ ენაზე ლექსიკონის მინიმალური გამოყენებით;
- შესწავლილი ლექსიკისა და გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებით **წერითი მეტყველება** მართლწერის გათვალისწინებით.
- **ფონეტიკური** ვარჯიშები (ბგერების დამუშავება, სწორი მახვილის გამომუშავება და ინტონაციური ნიუანსების სწავლება პედაგოგზე მიბაძვის მეთოდით, ინტონაციური კითხვა);
- **მეტყველება უცხოურ ენაზე**, რომელიც გამომუშავდება ხმამაღალი კითხვის, ლექსიკური და გრამატიკულ კონსტრუქციებზე ინტენსიური ვარჯიშის და სურათების აღწერის პრაქტიკის საშუალებით.
- **წერითი უნარ-ჩვევების** განვითარება, რაც ძირითადად კარნახის გამოყენებით მართლწერაზე იყო ორიენტირებული.
- **ლექსიკური მარაგის გამდიდრება** იმ თემატიკითა და შინაარსობრივი დატვირთვით, რაც ყველა კატეგორიის სოციალურ წრეში განავითარებს მოსწავლის საბჭოური იდეოლოგიით აღზრდას.
- **გრამატიკული კონსტრუქციების** ეფექტური ათვისება, რომელიც ძირითადად მშობლიური ენის გრამატიკის საფუძვლიან ცოდნას ეყრდნობოდა
- **გრამატიკა**, როგორც უცხოური ენის სწავლების ერთ -ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომლის შედარებაც საჭირო იყო მშობლიური ენის გრამატიკასთან.

1960-იან წლებში გატარებული რეფორმების მიხედვით საბჭოთა კავშირში სკოლები შვიდწლიანი სასწავლო სისტემიდან რვაწლიანზე გადავიდნენ, რომლის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელება შესაძლებელი იყო:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სამი წელი;
- პროფესიული-ტექნიკური სასწავლებლები, სადაც სწავლა პროფილის მიხედვით ერთიდან სამ წლამდე ვარირებდა;
- საშუალო პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც პროფესიულ ცოდნასთან ერთად საშუალო განათლების ატესტატსაც გასცემდნენ და სადაც სწავლის პერიოდი სამი ან ოთხი წლით განისაზღვრებოდა.

ამ პერიოდის სკოლა ზოგადსაგანმანათლებლოდ იწოდებოდა და სწავლის ხანგრძლივობა 10 წელს შეადგენდა, რომელიც სამ საფეხურად იყოფოდა:

- დაწყებითი სკოლა 1 -დან მე-3 კლასამდე;
- არასრული საშუალო სკოლა მე-4 დან მე-8 კლასამდე ,
- სრული საშუალო სკოლა მე- 9 დან მე-10 კლასამდე.

განათლების რეფორმა საბჭოთა კავშირში პერიოდულად ტარდებოდა, თუმცა უცხო ენის მიმართულებით არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. ფაქტიურად არც სახელმძღვანელოების არსებითი განახლება წარმოებდა და ძირითადად წლიდან წლამდე ერთი და იგივე პროგრამითა და თემატიკით მიმდინარეობდა სწავლება, რაც უპირველეს ყოვლისა მასწავლებლის მოტივაციისათვის იყო საზიანო; ხოლო მიზანი ისევ და ისევ „უცხოური ენების პრაქტიკული ფლობა“ რჩებოდა, რაც არსებული პროგრამების და მეთოდური მიდგომის ფონზე ძალიან რთულად მისაღწევ, და უმეტესწილად განუხორციელებელ ამოცანად ითვლებოდა. გარკვეულ პერიოდებში იყო სახელმძღვანელოების გაუმჯობესებისა და არსებულ რეალობაზე მორგების მცდელობა, თუმცა ამას მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორები სდევდა თან, რომელთა შორის ყველაზე ნიშანდობლივი საბჭოთა იდეოლოგია გახლდათ. მაშინ როცა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში უცხოური ენის სწავლებისადმი მეთოდური მიდგომის ხერხები საუკეთესო სისტემის ძიების პროცესში სულ ცოტა ყოველ 4-5 წელიწადში იცვლებოდა, საქართველოში ამის შესაძლებლობა მხოლოდ საბჭოთა იმპერიის მარწუხებისაგან გათავისუფლების შემდეგ გახდა შესაძლებელი. (შავერდაშვილი, 2014: 251) თუმცა აქვე

დავამატებდი, რომ ამჟამად არსებული მეთოდოლოგიაც არ მიმაჩნია სრულყოფილად და შესაბამისად, პედაგოგებს გვიხდება საკუთარი შემოქმედებითი უნარების დახვეწა და ინდივიდუალური გზების გამონახვა, რათა მიზანი ენის პრაქტიკული ფლობისა ეფექტურად იქნეს განხორციელებული.

1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა და პოლიტიკურ ცვლილების 10 წლის განმავლობაში საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა ახალი უცხო ენის სასწავლო პროგრამები და სასწავლო სახელმძღვანელოები. ამის მიზეზი კი იყო, უპირველესად, როგორც საზოგადოებრივ სტრუქტურული ცვლილებები, და ასევე სამოქალაქო (აფხაზეთის) ომი (1992-1993) და ეთნიკური კონფლიქტები (ქართულ - აფხაზური, ქართულ - ოსური), რომლებმაც ქვეყანაში უამრავი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები წარმოიშვა. მე - 20 საუკუნის ბოლოს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ახალი მოდელის შემუშავებას უამრავი მცდელობა ჰქონდა, თუმცა ეს ყველაფერი პრაქტიკულად არანაირ შედეგს არ მისცემდა.

1995 წლის პირველ სექტემბერს საქართველოს განათლების მინისტრთა კაბინეტმა ჩაატარა კონკურსი, რომლის შედეგადაც 14 შეთავაზებული იდეის საფუძველზე მიიღო ახლად შემუშავებული განათლების სისტემის კონცეფცია, რომლის (დაგენილება #572) პირველ სავალდებულო უცხო ენად რუსული ენა იქნა არჩეული. იგი მეორე კლასიდან ისწავლებოდა. ამ უცხო ენის სწავლებას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დსთ ს წევრი ქვეყანა იყო. რუსული ენის მსგავსად ე.წ. სპეციალური სკოლებში (სკოლები უცხოური ენების გაღრმავებული სწავლებით), უცხოური ენები (ფრანგული, გერმანული, ინგლისური) მეორე კლასიდან ან რუსული ენის პარალელურად ისწავლებოდა, ან მეორე კლასში შედიოდა, ხოლო რუსული ენა მესამე კლასიდან იყო შეთავაზებული.

დასკვნა

პირველი თავის მიხედვით შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ უცხო ენის სწავლებას ადრეულ საუკუნებიდანვე მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა. პირველ თავში განვიხილეთ საგანმანათლებლო იდეები და პედაგოგიკის განვითარება საქართველოში ადრეული საუკუნეებიდან XX ს- ის ბოლომდე.

საქართველოს სკოლებში განათლების მიღება სხვადასხვა კუთხით მიმდინარეობდა, კერძოდ განათლება რუსულ ენოვან სკოლებში მიმდინარეობდა, ითარგმნებოდა უამრავი მასალა და უცხოეთიდან იგზავნებოდა საქართველოში.

ცხადია, რომ უცხო ენის სწავლება დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ვითარდებოდა და საბოლოოდ, განათლების ხარისხის რამდენიმე საფეხურიც დადგინდა: თუ მაგალითად: ადრეულ პერიოდში სკოლა მხოლოდ 4 კლასიანი იყო, დღეს სკოლის 3 საფეხური განიხილება, დაწყებითი, საბაზო და საშუალო, ასევე უმაღლეს სასწავლებლებსაც ცალკე მნიშვნელობა გააჩნია და 2005 წლიდან დღემდე საქართველოში უმაღლესი განათლების მიღება ეროვნული გამოცდების ჩაბარების მეშვეობით ხდება, სადაც ასევე განიხილება შემდეგი საფეხურები ბაკალავრი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა და ასპირანტურა.

ამრიგად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ განათლების მიღებას დიდი ყურადღება ექცეოდა და იგი დღესაც მნიშვნელოვნად ვითარდება სხვადასხვა მიდგომის გამოყენებით.

თავი II

ტრადიციული და თანამედროვე სწავლების მეთოდების შედარება.

2.1 ტრადიციული მეთოდების სახეები

თანამედროვე ცხოვრებაში ინგლისური ენის შესწავლა დაუჯერებლად პოპულარულია ნებისმიერ ასაკში, საზოგადოებრივი მდგომარეობის თუ მატერიალური შესაძლებლობის ადამიანში. არც ენის შემსწავლელთა კურსების პოვნა წარმოადგენს სირთულეს. ნებისმიერ ლოკაციაში მოიპოვება საკმაოდ ბევრი სხვადასხვა კომპანია, რომელიც მსურველს ენის შესწავლის მრავალფეროვან მეთოდს სთავაზობს. არსებობს ასევე ვირტუალური სწავლების ფორმებიც და სხვადასხვა სახეობის თვითსწავლების სახელმძღვანელოები. ერთი სიტყვით ჩვენს ეპოქაში ინგლისური ენის სწავლება ერთ -ერთი ყველაზე გავრცელებული მომსახურების სფეროა. ნებისმიერ მსურველს მარტივად შეუძლია მოძებნოს მისთვის მისაღები ინგლისური ენის კურსები თუ მოინდომებს, მთავარია დაისახოს მიზანი!

თუმცა იმისათვის, რომ სწავლება წარმატებით წარიმართოს და ნაყოფიერი იყოს, რთულია მოიძებნოს, როგორც ხელსაყრელი დრო კურსებზე დასასწრებლად, ასევე ხელსაყრელი ფასები. აუცილებელია და საჭირო გავერკვიოთ ინგლისური ენის სწავლების მეთოდებზე, რომელთა დახმარებით შემსწავლელი შეძლებს აითვისოს მისთვის უცნობი ენობრივი ნორმები.

ინგლისურ ენის სწავლების მეთოდები, მოკლედ განვიხილოთ მაგალითად, ილონა დავიდოვას **ექსპრეს მეთოდი**, რომლის პრინციპიც საკმაოდ მარტივია - შემსწავლელი ისმენს აუდიო დისკს და ქვეცნობიერის დონეზე იმახსოვრებს ინფორმაციას. ჩანაწერებში გამოიყენება ბგერები, რომელთაგან ზოგიერთი ადამიანის სმენას თითქმის არ შეუძლია გაარჩიოს, თუმცა სრულიად აღიქმება ტვინის მიერ, ამიტომ ამდაგვარი მეთოდი მეცადინეობისას სავსებით შესაძლებელია ნებისმიერი სხვა საქმით დაკავდნენ. ან მაგალითად, სწავლება შეიძლება წარიმართოს გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდით. მიჩნეულია, რომ ენის ფლობა - პირველ რიგში, გრამატიკისა და ლექსიკის -

დაუფლებით მიიღწევა, ამიტომ ეს მეთოდი აგებულია ზუსტად ამ ორი კომპეტენციის ათვისებამდე. ამგვარ სქემაში გამოიყენება პრინციპი „არ აქვს მნიშვნელობა რას ამბობს, მნიშვნელოვანია, როგორ ამბობს“. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს სწორ წარმოთქმასა და წინადადების სწორად აგებაში. ბუნებრივია ეს მეთოდი თავისთავში გულისხმობს ენის შემსწავლელთა მხრიდან ინგლისური ენის საწყის დონეზე ცოდნას და ეს მნიშვნელოვანია.

გრამატიკულ მთარგმნელობითი მეთოდი. ერთ - ერთი წამყვანი მეთოდი იყო ქართულ და არამართო ქართულ სკოლებში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. ეს მეთოდი უმეტესწილად ენის აკადემიურ დონეზე ათვისებისკენ არის მიმართული, ვიდრე კომუნიკაციურ-გამოყენებადი ცოდნისაკენ. შესაბამისად, მიუხედავად სწავლებისადმი ახალი მიდგომების შემოღების და განვითარებისა, ბევრი პედაგოგი დღესაც მიმართავს ამ მეთოდს. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, თანამედროვე მეთოდიკის მოთხოვნილებაში არ არის გრამატიკული მხარე სათანადო ინტენსივობით წარმოდგენილი, რაც ხშირად სტილისტური შეცდომების მაპროვოცირებელია. პედაგოგთა ეს ნაწილი აპელირებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფაქტორით, რომელიც მოითხოვს ესეს ნაწილს, სადაც დაცული უნდა იყოს არამხოლოდ ლექსიკური ფრაზების მრავალფეროვნება, არამედ გრამატიკული ფორმების გამართულობაც. ისინი, ამბობენ რომ ესგ და საგამოცდო მოთხოვნები ერთმანეთთან შეუსაბამოა, რასაც ნაწილობრივ ვეთანხმები.

ინგლისური ენის ტრადიციული სწავლება. ტრადიციულ მეთოდში ძალიან ხშირად მოიაზრება ლექსიკური ერთეულებისა და სიტყვათაშეთანხმებების, სხვადასხვა ენობრივი კონსტრუქციების ზეპირად დასწავლა, რომელიც აგებულია ინტენსიურ განმეორებაზე, სანამ არ მიაღწევს ავტომატიზაციის მეხსიერებაში. უახლოესი მეთოდის მიმდევრები და შემომღებნი ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია შესწავლულ იქნეს ნებისმიერი უცხო რამე თუ გამოყენებული არ იქნება ადამიანის ფარული ინტელექტუალური უნარები. არსებობს ისეთი მეთოდიკებიც, რომელიც ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, თვითშეგნებაზეა დამოკიდებული.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმა „ტრადიციული“ მეთოდი არ გახლავთ „ცუდი მეთოდის“ სინონიმი. მიუხედავად იმისა, მაინც ნაკლებ ნაყოფიერ მეთოდად ითვლება და საერთოდ ვერ პასუხობს სწავლების მეთოდის თანამედროვე მაღალ სტანდარტებს. საერთოდ ტრადიციული მეთოდის საფუძვლად ითვლება მშობლიური ენიდან შესასწავლ უცხო ენაზე პირდაპირი თარგმნის მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეპოქაში გამოჩნდებოდნენ ხოლმე ნოვატორი მასწავლებლები-ენტუზიასტები, რომელთა მიზანი იყო სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება, რათა გაკვეთილები გაეხადათ უფრო მეტად ეფექტური, მოტივირებული და შედეგიანი. ასე წარმოიშვა **სუგესტოლოგიის** პრინციპი. (*სუგესტოლოგია* - წარმოქმნილია ინგლისური სიტყვისაგან „suggest“ , რაც გულისხმობს შთაგონებას, იდეის კარნახს, მინიშნებას, შეთავაზებას). სუგესტოლოგია შესაძლებელია, მაგალითად გარკვეული თვალსაჩინო პლაკატებით, რომლებიც ყოველთვის ხვდება მოსწავლის მხედველობის არეში, თუნდაც ის არ იყოს გამოყენებული კონკრეტულ გაკვეთილზე. ეს პრინციპი სწავლებისა და შემდგომში ადამიანის დაფარული გონებრივი შესაძლებლობების გამოყენებაში მდგომარეობს. ბულგარელი მეცნიერი გეორგი ლოხანოვი, რომელიც დაკავებული იყო ამ პრინციპის შემუშავებით და მისი პედაგოგიკაში დანერგვით სწავლობდა შთაგონებისა და თვითშთაგონების ეფექტს, რომელიც ადამიანის ტვინისათვის დამახასიათებელი თვისებაა. სწორედ სუგესტოლოგიის, იგივე, სუგესტოპედიის მეთოდს გვთავაზობდა, ეს მეცნიერი უცხო ენის სწრაფად შესწავლის მიზნით გამოყენებისთვის ამტკიცებდა, რომ ენის შესწავლა შესაძლებელია ინფორმაციის აღქმითა და შემდგომ მისი ათვისებით, ისე რომ მისი კრიტიკულად გააზრება არ არის საჭირო.

ცოცხალი ურთიერთობა და შესასწავლი ენის ატმოსფეროში სრულად ჩაფლობა - არატრადიციული მეთოდის ენის შესწავლის მომხრეთა აზრით აუცილებელ პირობას წარმოადგენს. არანაკლებ მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ემოციური და ფსიქოლოგიური ფონიც.

უცხოენის ათვისების დონე განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს განვითარებული სამეტყველო აქტივობების სხვადასხვა ფორმები ენის შემსწავლელს.

სამეტყველო აქტივობის ფორმებში მოიაზრება უცხო ენაზე მეტყველების აღქმა, წერა, წაკითხული ტექსტის გაგება. ამ აქტივობათა ცალკეული სახე უნდა დამუშავდეს გარკვეული მეთოდების დახმარებით. ტრადიციული სწავლების მეთოდიკა მიზნად ისახავს გარკვეული მოცულობით სამეტყველო აქტივობების ათვისებას, სადაც ერთი აქტივობა მეორეს განაპირობებს. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მთელი შესწავლილი მასალის ერთი მიზნისაკენ მიყვანა. და მაინც მაღალი პროფესიონალიზმის მატარებელი მასწავლებელი ხშირად გამოიმუშავებს უნარს საკმაოდ წარმატებით გაართვას თავი სამეტყველო აქტივობების ფორმების ყველა ასპექტების გაერთიანებას და სასურველი ეფექტის მიღებას.

ინტენსიური რეჟიმით უცხო ენაზე ზეპირმეტყველების სწავლება შედარებით დროის მოკლე პერიოდში წარმოადგენს სწავლების არატრადიციული მეთოდების ძირითად მიზანს. გარდა ამისა, პრაქტიკაში მიღებული ცოდნის აუცილებელი გამოყენება - ესეც უმნიშვნელოვანესი პირობაა უცხო ენის შემდგომ წარმატებულ დაუფლების გზაზე. ტრადიციული და არატრადიციული მეთოდების კომბინირებული გამოყენებით შესაძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა.

სწავლების არატრადიციული მეთოდები. საკმაოდ ხშირად უცხო ენის შემსწავლელი კურსები ერთმანეთის ჯიბრით მსურველებს სთავაზობენ სწავლების ინტენსიურ მეთოდებს და წარმოადგენს, ენის როგორც ნოვატორულ ან არატრადიციულ ხერხებს. ასეთ ხმამაღალ ლოზუნგებზე მიყოლას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. როგორც წესი, ამ მეთოდების უკან არაფერი ზებუნებრივი არ იმალება. არ უარყოფთ, რომ არსებობს მთელი რიგი საინტერესო გზები და ხერხები, რომლებიც ჩვენს ქვეცნობიერებაშია დაფარული, ასევე სიტყვების სწრაფად დახსომების სხვადასხვა ტექნიკა, ენის სწავლების თამაშებრივი მეთოდები. ყველა ესენი, ეჭვგარეშეა, სასარგებლოა და გვეხმარება ენის ათვისებაში, მაგრამ, როგორც დამხმარე მეთოდი. ნებისმიერ შემთხვევაში, ინგლისური ენის, ისევე როგორც სხვა რომელიმე უცხოური ენის შესწავლის საფუძვლად მიზანმიმართულება და გეგმაზომიერი მუშაობა უწყევს.

სამართალმცოდნეობისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლაც ღირს ერთ-ერთი არატრადიციული მეთოდის გამორჩევა, რომელსაც ყოველთვის მოაქვს შედეგი. ეს ე.წ. "ჩაძირვის" მეთოდი. როგორ მუშაობს ის? ადამიანი, რომელიც მისთვის სრულიად უცხო ენოვან გარემოში მოხვდება, უბრალოდ იძულებულია გადალახოს ენობრივი ბარიერი და დაიწყოს ურთიერთობა. ამგვარად ლექსიკური მასალის დაგროვება და გრამატიკული სტრუქტურული ნორმების ათვისება „სმენით“ მიმდინარეობს. თუმცა ასეთი იშვიათი ექსტრემალური სიტუაცია უმრავლესობისათვის არ არის პრაქტიკულად შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი საკმაოდ ამართლებს ენის კომუნიკაციურ დონეზე შესწავლას, მაინც უმჯობესია მეტი ყურადღება მიექცეს და დაიხვეწოს ჩვეული და მასობრივად ხელმისაწვდომი სწავლების მეთოდები.

აქ მოყვანილი მეთოდების მაგალითების უმეტესობა მოითხოვს პედაგოგთან მეცადინეობას, რაც ყოველთვის არ არის ხელსაყრელი, ამიტომ ინგლისური ენის შესწავლისათვის შეიძლება აუდიო დისკების შექმნა, რომელიც არ მოითხოვენ სპეციალურად დროის გამოყოფას და საშუალებას იძლევა შემსწავლელი დაკავდეს თავისი ჩვეული საქმიანობით, უყუროს ვიდეოფილმებს ინგლისურ ენაზე, საბედნიეროდ ამერიკული კინო-სტუდიები გეგმავს ვიდეო დისკებს დიდი რაოდენობის წარმოებას; ასევე შესაძლებელია შემსწავლელებმა თან ატარონ ორენოვანი ლექსიკონი. ამ შემთხვევაში მინიმალური ცოდნა აუცილებელია, მაგალითად: ბგერების სწორი წარმოთქმა და წინადადების სწორად აგება.

რა მეთოდიც არ უნდა ავირჩიოთ, უპირველეს ყოვლისა მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ, რადგან ინგლისური ენის შესწავლა საკამოდ რთული, ყურადღების ფოკუსირების მომთხოვნი პროცესია. შედეგად მიიღებთ უამრავ დადებით ემოციებს და ინგლისურენოვანი მეტყველების გაგების შესაძლებლობას. ინგლისური ენის ცოდნა გამოგადგებათ სამსახურის პოვნაში, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

გრამატიკულ მთარგმნელობითი მეთოდის ყველაზე დადებით მხარეს ვხედავ იმ მიმართულებით, რომ ის საშუალებას იძლევა ავითვისოთ გრამატიკა ძალიან მაღალ დონეზე, ეს მეთოდი კარგად ამართლებს ძლიერი ლოგიკური აზროვნების მქონე

ადამიანებთან, რომელთათვისაც მარტივია და ბუნებრივია გრამატიკული ფორმულების ერთობლიობაში აღქმა და ათვისება.

თანამედროვე ლექსიკურ-გრამატიკული მეთოდიკა მიმართულია ენის, როგორც სისტემის, უპირველეს ყოვლისა ოთხი ძირითადი უნარის ათვისებისკენ. ამის გამო დიდი ყურადღება ექცევა ტექსტების გარჩევას, ტექსტის შინაარსისა და თხზულების წერას. გარდა ამისა, ყველამ უნდა ათვისოს უცხო ენის ლოგიკა და სტრუქტურა, შეძლოს მისი შეპირისპირება მშობლიურთან, განსაზღვროს მსგავსება და განსხვავება. ეს კი შეუძლებელია გრამატიკის სერიოზული შესწავლის და ორმხრივი თარგმნის გარეშე.

ბუნებრიობის (ნატურალური) მეთოდი. ბუნებრიობის მეთოდის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ უცხო ენის შემსწავლელისთვის ისეთივე გარემო და პირობები შექმნილიყო, როგორც გარემოშიც, ვითარებაშიც მოზარდი მშობლიურ ენას ითვისებდა. სწორედ, აქედანაც გამომდინარეობს მეთოდის სახელიც - ნატურალური ანუ (ბუნებრივი). ამ მეთოდის გამორჩეული წარმომადგენლები იყვნენ მ. ბერლიცი, ფ. ჰუენი, მ. ვალტერი და სხვები. ამ მეთოდით სწავლების მთავარი მიზანი მოსწავლეებზე ინგლისურ ენაზე საუბრის სწავლება იყო. ამ მეთოდის მომხრეები იმ მოსაზრებიდან გამოდიოდნენ, რომ მეტყველების შესწავლის შემდეგ, მოსწავლეები შეძლებდნენ უცხოურ ენაზე კითხვასა და წერას ისე, რომ არ ექნებოდათ წერისა და კითხვის ტექნიკა ნასწავლი.

უცხო ენის სწავლების მეთოდიკა უამრავ და მრავალფეროვან მეთოდებს იცნობს, რომელთა მიზანი ყველაზე რაციონალური მეთოდის ბუნება იყო უცხო ენის სწავლებისას. ამათგან ბუნებრიობის მეთოდი ერთერთი უძველესია. უცხო ენა ისწავლება მზა ნიმუშების მიბაძვით, ათვისებით, მათი მრავალჯერადი განმეორებითა და შესწავლილ ნიმუშებზე შედარებით. ბუნებრიობის მეთოდი წმინდა პრაქტიკულ მიზანს ისახავდა - უპირველეს ყოვლისა მეტყველების შესწავლა და შემდეგ მარტივი ტექსტის კითხვა - საკმაოდ დიდხანს იყო პრაქტიკაში და უცხო ენის ნაყოფიერი ფლობა საზოგადოების მაღალი ფენის პრივილეგიად ითვლებოდა. ზოგადსაგანმანათლებლო

სკოლების შემოღების შემდეგ ერთი პერიოდი ცდილობდნენ ამ მეთოდით სწავლებას, მაგრამ ის მალე შეიცვალა მთარგმნელობითი მეთოდით.

პირდაპირი სწავლების მეთოდი. ეს მეთოდი ბუნებრიობის მეთოდის საფუძველზე აღმოცენდა, რომლის შემომღებნი გახლდათ ლინგვისტები და ფსიქოლოგები ვ. ფიეტორი, ო. ესპენსერი, ასევე მეთოდისტები შ. შვეიცერი, ჰ. ჟენდტი, ე. სიმონი და სხვები. ამ მეთოდის მომხრეები მიზნად ისახავდნენ ენის პრაქტიკულად ფლობის სწავლებას, დაწყებით ეტაპზე უპირატესი იყო ზეპირმეტყველების სწავლება, ლექსიკური მასალის შერჩევა შემოიფარგლებოდა საურთიერთობო თემატიკის დიაპაზონით, ხოლო გრამატიკული მასალიდან ისწავლებოდა ის ფორმები და კონსტრუქციები, რაც იმდროინდელი ნორმები მოითხოვდა. პირდაპირი მეთოდის შემქმნელები ინდუქციის მეთოდის ფართოდ გამოიყენებას უწევდნენ რეკომენდაციას, რაც ენობრივ მასალაზე დაკვირვებას და მოსწავლეების მიერ წესების დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა, რაც შემდგომში სისტემაში უნდა მოყვანილიყო.

პირდაპირი მეთოდის მთავარი დამსახურება ცოცხალი, სალაპარაკო მეტყველების სწავლებაში, ზეპირმეტყველების სწავლების მეთოდის ფონეტიკური სავარჯიშოების დამუშავებაში მდგომარეობს, რომელთაგან ის უკანასკნელი ენის ჟღერადობის ასპექტის ეფექტურად დაუფლების საშუალებას იძლევა, ასევე ამ მეთოდმა პირველად შემოიღო თვალსაჩინოების, როგორც უცხოენოვანი მასალის სემანტიზაციის საშუალების გამოყენება. სწავლების ტექნიკური საშუალების გამოყენებამ მოიტანა პირდაპირი მეთოდით სწავლების თანამედროვე ვარიანტები. ა) აუდიოვიზუალური - ენის სწავლება სანახაობრივ - სმენის ნიმუშებზე დიაფილმებისა და კინოფილმების კადრებზე დაყრდნობით და ბ) აუდიოლინგვალური - ითვალისწინებს ხმოვანი ტექნიკის გამოყენებას სამეტყველო ავტომატიზაციისთვის წარმოებული ენობრივი სტიმულების ჩანაწერების პასუხად.

სწავლების პირდაპირი და ბუნებრიობის მეთოდები ერთმანეთის შემდეგ ფორმებს ემიჯნება: ა) ახალი მასალის შესწავლა სწავლების არაპირდაპირი მეთოდით სპეციალურად, შემუშავებული გეგმით (ბუნებრიობის მეთოდისაგან გასხვავებით). ბ)

წესების აუცილებელი რაოდენობა, რომელიც გამიზნულია პირდაპირი მეთოდის სასწავლო მასალის კორექციისათვის, რასაც ბუნებრიობის მეთოდი არ ცნობს. გ) კითხვისა და წერის გონივრული გამოყენება, რაც ხელს უწყობს პირდაპირი მეთოდით ნასწავლი მასალის განმტკიცებას, რაც ასევე არ განიხილება ბუნებრიობის მეთოდით.

არაპირდაპირი მეთოდები: არაპირდაპირი მეთოდები მკვეთრად გამიზნულია სწავლების მიზნებზე. მეთოდის ორი მიმართულება განიხილება: **რეპროდუქტიული და რეცეპტული ენის დაუფლება.** პალმერი და უესტი ცდილობენ, რომ ეს მეთოდები ჩაანაცვლონ ტრადიციული გრამატიკული სტრუქტურების სწავლებით. ისინი ცდილობენ, რომ ენობრივი გარემო, სხვადასხვა ტექნიკური გზით ან მეთოდით წარმოაჩინონ. ერთ-ერთი მათი წარმომადგენელი არის ჰ. პალმერი, რომელმაც 50-ზე მეტი თეორიული ნაშრომისა და წიგნების ავტორია, რომლებიც ეხება ინგლისური ენის სწავლების პრობლემატიკას, როგორც უცხო ენას. პალმერი ხშირად აყენებდა პრაქტიკულ მიზნებს უცხო ენის სწავლების დროს. იგი განიხილავდა.

1. „უცხო ენის თავისუფალი ფლობისათვის, ენა უნდა ესწავლებინა“
2. „სალაპარაკო ენის გაგება, ლაპარაკი, კითხვა და წერა.

https://www.academia.edu/2994975/The_Writings_of_Harold_E_Palmer_An_Overview

ენის ფლობის დონე უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად მიახლოებული თვით ენის მატარებელთან. ამ კურსის სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრა პროგრამის მიხედვით 2.5 და 6.5 წლამდე. ასევე ის ამბობს, რომ არ შეიძლება დაიწყო უცხო ენის სწავლება ლიტერატურული ნაწარმოებით: ამიტომ სწავლების ობიექტი უნდა იყოს ცოცხალი სალაპარაკო ენა. ტექსტების შინაარსისთვის პალმერის შემდეგი მოთხოვნები აქვს: ისინი უნდა იყოს საინტერესო და გასართობი; უნდა იყოს მოსწავლეების ასაკის მიხედვით; უნდა შეიცავდეს მხოლოდ ისეთ თემებს, რომლებიც მოსწავლეებისათვის გასაგებია. უფრო სიუჟეტურ ტექსტებს უნდა მოიცავდეს, ვიდრე აღწერითს, რადგან ენობრივი უნარის განსავითარებლად უფრო ხელსაყრელია. ერთ-ერთ საკითხად

იყენებს ლექსიკონებს და სასწავლო ლექსიკონს ჰყოფს 2 ჯგუფად: ზუსტად დახარისხებული, რომელსაც ჰქვია მიკროქოსმი და სტიქიური . მიკროქოსმი უფრო უნდა ისწავლებოდეს დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე, ხოლო სტიქიური უფრო საშუალო დონეზე.

პალმერი თვლის, რომ ტერმინი „ სიტყვა“ არის არაგანსაზღვრული და ამიტომ იყენებს ტერმინს „ლექსიკოლოგიური ერთეული“. ასევე უპირატესობას ანიჭებს მოსმენას, როგორც საკომუნიკაციო უნარის განვითარებას.

https://www.academia.edu/2994975/The_Writings_of_Harold_E_Palmer_An_Overview_book

აუდიო - ლინგვალური მეთოდი. ამ მეთოდის ფუძემდებლები არიან ლინგვისტ - სტრუქტურალისტი ჩ. ფრიზი და მეთოდისტი რ. ლადო. თავიანთ სისტემაში და ამ სისტემაზე აგებულ სახელმძღვანელოებში რ. ლადო და ჩ. ფრიზი უცხოური ენის შესწავლის გზებს უპირველესად მოზარდებისთვის გვთავაზობენ.

უცხო ენის სწავლების მიზნად მათ ყველა ტიპის სამეტყველო აქტივობის დაუფლება მიაჩნდათ. ისინი თვლიან, რომ სწავლების საფუძველი გახლავთ ზეპირი მეტყველება. მეთოდისტები უარს ამბობენ დაწყებითი საფეხურზე კითხვის სწავლებაზე, მათი აზრით კითხვის დაუფლება შესაძლებელია, მხოლოდ ზეპირი მეტყველების შემდეგ.

რ. ლადო და ჩ. ფრიზი მიიჩნევენ, რომ გრამატიკის გარეშე სწავლება არ არის შესაძლებელი, მაგრამ უფრო აზუსტებენ, რომ მხედველობაში აქვთ გრამატიკა, რომელიც გამოიყენება ზეპირმეტყველებაში. საჭიროდ თვლიან რეპროდუქტულად (საუბარი) და რეცეპტულად (აუდირება) ასათვისებელ სტრუქტურას.

ამრიგად, რ. ლადოსა და ჩ. ფრიზის კითხვის სწავლების მეთოდიკა თითქმის არ დაუსრულებიათ, რადგან მოზრდილებთან დაწყებისას გვთავაზობენ ტრანსკრიბციულ ნიმუშებს და მერე ტრადიციულს. ისინი თვლიან, რომ ბავშვებმა კითხვა სიტყვის წაკითხვის მეთოდით უნდა ისწავლოს და არა ტრანსკრიბციით (სწორად კითხვა). ისინი ცალკე არ განიხილავენ გრამატიკულ მოვლენებს, თუმცა უცხოური ენის

სწავლების საფუძველი ბგერითი სტრუქტურები და სისტემაა. ენის სრულყოფილად დაუფლებისთვის აუცილებელია მიბაძვა, ანალოგიით წარმოება და ნიმუშის დასწავლა მრავალჯერადი განმეორებით. (შავერდაშვილი, „უცხოური ენების სწავლების საფუძვლები. 41)

ემოციური - აზრობრივი მეთოდი. ამ მეთოდის დასაწყისში დგას ბულგარელი ფსიქიატრი ლოზანოვი, რომელიც მუშაობდა პაციენტებთან თავისი საკუთარი ფსიქოკორექციის მეთოდით. ის ქმნიდა ეგრეწოდებულ “საინტერესო ჯგუფებს” და ამ დროს ენის სწავლა იყო სამედიცინო იარაღი. შახტერის მეთოდიკა წარმოადგენს თავისუფალ ლაპარაკს, ურთიერთობას მასწავლებლის და მოსწავლის ენაზე. პირველივე მეცადინეობიდან მოსწავლეები ირჩევენ მათთვის სახელს, უფრო გავრცელებულ იმ ენაში, რომელსაც სწავლობენ და „ლეგენდას“, მაგალითად: არქიტექტორი გლაზგოდან ან მევილიონე პალერმოდან და ა.შ. ამ მეთოდის აზრი არის იმაშია, რომ ფრაზებისა და კონსტრუქციების დამახსოვრება ბუნებრივად ხდება. ძირითადად გრამატიკულ წესებამდე მოსწავლე თვითონ უნდა მიდიოდეს. გრამატიკული კურსები არის დამაკავშირებელი ხიდი სწავლის დონეებს შორის. პირველი ეტაპის შემდეგ ენის შემსწავლელი აღარ იბნევა უცხოენოვან გარემოში მეორე ეტაპის მერე არ დაიკარგება თავის მონოლოგიურ გრამატიკაში და მესამე ეტაპის შემდეგ კი ნებისმიერი დისკუსიის გახდება სრულყოფილებიანი მონაწილე.

გაცნობიერებული - პრაქტიკული მეთოდი. ეს არის წამყვანი მეთოდი უცხო ენების სწავლების საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს მეთოდი არის გაცნობიერებული, რადგან სწავლის პროცესში ხდება ენობრივი ფორმების გააზრება, გაცნობიერება, ამავე დროს ეს მეთოდი არის პრაქტიკული, რადგან გადამწყვეტი ფაქტორია ენობრივი პრაქტიკის. ასეთი სწავლების მეთოდის პრინციპებია: 1) მოსწავლის მშობლიური ენის გათვალისწინება; 2) სწავლება ხორციელდება ენის სინტაქსურ ფუძეზე წინადადების გამოყოფით, როგორც მინიმალური ენობრივი ერთეულით; 3) გრამატიკული ხერხების გამოყენებით ხდება პრაქტიკული მიდგომა; 4) კომუნიკაციის ხერხები ფართოდ შეისწავლება;

5)კონცენტრაცია ხდება ლექსიკურ-გრამატიკულ მასალაზე; 6)ძირითად პრინციპად მიიჩნევა მასალის ფუნქციონირება. 7)გაკვეთილის ძირითადი გრამატიკული მომენტები შედგება წინადადებების დაჯგუფებული და სტრუქტურულ- სემანტიკური მიდგომით.

გაცნობიერებული-პრაქტიკული მეთოდი ინარჩუნებს წამყვან პოზიციას. ის უნდა ჩაითვალოს ოპტიმალურ მეთოდად, ფილოლოგიის სტუდენტებთან, რომლებსთვისაც უცხო ენა არის არა მხოლოდ საკომუნიკაციური ხერხი, არამედ ასევე პროფესიული საქმიანობის ხერხიც.

გააზრებულად შედარებითი მეთოდი. გააზრებულად შედარებითი მეთოდი დღესდღეობით გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ ყველაზე ფართოდ ის გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში. მნიშვნელოვანი როლი მის გავრცელებაში ითამაშა აკადემიკოსმა ლ. ვ. შერბამ. მისი აზრით უნდა განვასხვაოთ: 1) ენა (საუბარი) როგორც ლაპარაკისა და გაგების პროცესი; 2) ენა როგორც შემუშავებული ლინგვისტური გამოცდილება, რომელიც არის საუბრისა და გაგების პროცესის განმსაზღვრელი; 3) ენა (ენობრივი მასალა) დაუმუშავებელი ლინგვისტური ცდა, რომლის საფუძველიც არის ენა.

ლინგვისტური ცდა ან ენობრივი მასალა - იგივეა რაც საუბარი და გაგება, უბრალოდ მოგონების სახით. დამუშავებული ან დალაგებული ლინგვისტური ცდა ეს არის გრამატიკული და ლექსიკური ნორმები, რომელიც ახასიათებს ენას მოცემულ ისტორიულ ეპოქაში. დაუმუშავებული ლინგვისტური მასალა - არის მზა ენობრივი ერთეულები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ ყოველგვარი ანალიზის გარეშე. ეს არის ერთხელ გაგებულის განმეორება ყოველგვარი შემოქმედებითი ცვლილების გარეშე. შერბა მიუთითებს იმაზე, რომ საუბარი შესაძლებელია მაშინ, როდესაც მოსაუბრეები შეიგრძნობენ ენას, უვითარდებათ უნარი შეადგინონ ახალი კონტექსტები და არჩევენ შესაძლო კონტექსტებს შეუძლებლისგან, სწორი კი არასწორისგან.

http://elib.gnpbu.ru/textpage/download/html/?bookhl=&book=scherba_yazykovaya-sistema--deyatelnost_1974)

პრაქტიკული შესწავლის მიზნისთვის გამოჰყოფდნენ მონაწილეთა კითხვისა და გაგების უნარს და ზეპირ საუბარს სმენის მხრივ, და ასევე ასწავლიდნენ საუბარსა და წერას უცხო ენებზე. მეთოდი ეფუძვნება შემდეგ პრინციპებს: ენობრივი წარმონაქმნების გააზრება მისი ათვისების პროცესში და მათივე გამოყენების მეთოდები; ზეპირმეტყველების ყველა თავისებურების შესწავლა; აქტიური და პასიური ენობრივი ელემენტების გამიჯვნა; უარყოფითი ენობრივი ერთეულების გამოყენება.

ბოლო მეთოდზე კომენტარის სახით უნდა აღინიშნოს რომ უარყოფითი ენობრივი მასალა შეიძლება მივიღოთ ნებისმიერი სავარჯიშოს შესრულებისას, თუმცა განსაკუთრებით სასარგებლო ამ მიზნისთვის, ხელოვნური ათვისებისას (იგივე სკოლაში უცხო ენის დაუფლებისას) არის თარგმანი მშობლიური ენიდან უცხო ენაზე.

<http://flibusta.site/b/425406/read>)

უცხო ენის შესწავლის **კომუნიკაციური მეთოდი** არის ერთერთი ყველაზე პოპულარული მეთოდი მთელს მსოფლიოში. ბევრი მას თვლის ყველაზე ეფექტურ მეთოდად. ეს მეთოდი წარმოიშვა 60-70 წლებში, ბრიტანეთში როდესაც ინგლისური ენა იძენდა საერთაშორისო ენის სტატუსს. სწორედ ამ დროს ტრადიციული ენის შესწავლის მეთოდები აღარ აკმაყოფილებდა ხალხს.

ამ მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი გამოყენება არის რეალური ცხოვრებიდან რაიმე სიტუაციის იმიტირება, ეს მონაწილეებს მოუწოდებს აქტიური საუბრისკენ. ამასთანავე ძალიან მნიშვნელოვანია თემების აქტუალობა, ისინი ყოველდღიურ ცხოვრებასთან უნდა იყვნენ კავშირში. კომუნიკაციური მეთოდის გაკვეთილის მსვლელობა დამოკიდებულია თავად შემსწავლელეებზე, მათ პასუხებზე, რეაქციებზე, რადგან ყველაფერი გააზრებულად და დაგეგმილად მიმდინარეობს. მასწავლებლები ძირითადად არ საუბრობენ, ისინი უსმენენ და მეცადინეობას აძლევენ გარკვეულ მიმართულებას.

2.2 გრამატიკის სწავლება ტრადიციული მეთოდების მიხედვით

გრამატიკული მასალის შესაბამისად ახსნისათვის, აუცილებელია სწავლების ძირითადი მეთოდები. ინგლისური ენის გაკვეთილზე ინგლისური ენის გრამატიკის სწავლებას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. გრამატიკული მასალის ასახსნელად მასწავლებელი მიმართავს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას. მაგალითად რას ნიშნავს სიტყვა „მეთოდი?“ ტერმინი “Methodos” ბერძნული სიტყვაა და ქართულად გზას, მოქმედების ხერხს და საშუალებას ნიშნავს. ცნება „მეთოდი“ სხვადასხვანაირად განიხილება თანამედროვე მეცნიერებაში და შესაბამისად, განსხვავებული შინაარსიც აქვს. მეთოდის ნაცვლად შეიძლება შეგვხვდეს „მიდგომა“ ან მეთოდოლოგია. ყველა მასწავლებელს გაკვეთილზე განსხვავებული მეთოდი აქვს. „მეთოდი“ ორნაირი მნიშვნელობით გამოიყენება, უფრო ფართო გაგებით იგი უცხოური ენის სწავლების ზოგადი მიმართულებაა და იგი უცხოური ენების სწავლების ერთიანი სტრატეგია. ვიწრო გაგებით კი, იგი მასწავლებლისა და მოსწავლის მოქმედებათა ფორმირების ერთობლიობას წარმოადგენს, რაც უზრუნველყოფს უცხოური ენების სწავლების მიზნების მიღწევას. ტერმინი „მეთოდი“ განიმარტება, როგორც „ენობრივი მასალების მიწოდების სრულყოფილი გეგმა, რომლის ცალკეული ელემენტები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ არიან და ყველა ერთად დაფუძნებულია გარკვეულ მიდგომასთან“. ასევე არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომ მეთოდი ეს არის საშუალებებისა და ხერხების განზოგადებული სისტემა, რომელსაც მასწავლებელი დასახული მიზნების მისაღწევად იყენებს. იგი სასწავლო პროგრამას აერთიანებს, სწავლისა და სწავლების აქტივობათა სახეებს, მასწავლებლისა და მოსწავლეების როლს საგაკვეთილო პროცესში და სასწავლო მასალის როლს. ვინაიდან უცხო ენის გრამატიკის დაუფლება საკმაოდ რთული პროცესია, ინგლისური ენის გაკვეთილზე მასწავლებელი მუდმივად ცდილობს რომ, მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში ტრადიციული, თუ თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ესენია: გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (Grammar Translation Method), აუდიო-ლინგვალური მეთოდი (Audio-Lingual Method), კომუნიკაციური მიდგომა ენის

სწავლებაში (Communicative Language Teaching), დავალებაზე ორიენტირებული ენის სწავლება (Task-based Language Learning), სრული ფიზიკური რეაგირება/პასუხი (Total Physical Response), პირდაპირი მეთოდი (Direct Method), ბუნებრივი მეთოდი (Natural Method), სუგესტოპედია (Suggestopedia). თითოეულ მათგანი ზემოთ უკვე განხილული გვაქვს. ახლა შევეცდები ვისაუბრო ამ მეთოდების პრაქტიკული გამოყენების ეფექტიანობაზე და დავასაბუთო ცალკეული მათგანის ღირებულებითი მხარე.

უნდა აღინიშნოს, რომ ენის გრამატიკის სწავლების პროცესში ნებისმიერი მეთოდი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუმცა მეცნიერთა თუ მასწავლებელთა შორის მუდმივად მიმდინარეობდა კამათი სწავლების პროცესში მშობლიური ენის როლზე. მშობლიურ ენაზე თარგმნას, როგორც ერთ-ერთ ხერხს, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს და შესაბამისად, გრამატიკულ-მთარგმნელობითი (Grammar-Translation) მეთოდი მშობლიური ენის აქტიურ გამოყენებას ითვალისწინებდა. ეს მეთოდი დღემდე გარკვეულწილად აქტუალური რჩება ისეთ ქვეყნებში, სადაც ინგლისური ენა „უცხო ენის“, და არა „მეორე ენის“ სტატუსს ატარებს. სწორედ ასეთი ქვეყნების ჩამონათვალში შედის საქართველოც თანამედროვე ვითარებიდან გამომდინარე. აღნიშნავენ, რომ იგი არის ერთ-ერთი საყოველთაოდ მიღებული და უძველესი მეთოდი, რომელიც ჯერ კიდევ უცხო ენების შესასწავლად ფართოდ გამოიყენება საქართველოში. აგრეთვე „გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის დროს აბსოლუტურ პრიორიტეტს წარმოადგენს წერისა და კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება.“ ასეთ დროს მოსწავლეს უნდა შეეძლოს როგორც მხატვრული ტექსტის გაგება, ისე წერილობითი ტექსტის შექმნა, რომლის მისაბამ ნიმუშადაც გამოიყენება ლიტერატურული ნაწარმოებები. აღნიშნული მეთოდისათვის დამახასიათებელი დავალებებია:

- სიტყვებისა და ზეპირება და გრამატიკული გააზრებული დასწავლა;
- ცალკეული წინადადებების თარგმნა;
- მოკლე ტექსტების მშობლიურ ენაზე თარგმნა;
- უცხოენოვანი (მხატვრული) ლიტერატურის კითხვა;
- წაკითხულის წერილობით (ან ზეპირად) გადმოცემა;

➤ კარნახის წერა და სხვა.

მოცემული დავალებების მიზანია, პირველ რიგში შესწავლილ წესებზე დაყრდნობით მოსწავლეებში გრამატიკულად, კორექტული წინადადებების რეპროდუქციის უნარის გამომუშავება. გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდს ხშირად უარყოფითად აფასებენ. მიზეზი კი ისაა, რომ იგი არ იძლევა საშუალებას, რომ ადამიანებმა თავისუფლად იმეტყველონ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს შეისწავლონ გრამატიკული წესები, მათ არ შეუძლიათ ამ წესების სათანადოდ გამოყენება კომუნიკაციის დროს, რაც მეთოდის უარყოფით მხარედ მიიჩნევა. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი მასწავლებელზე ორიენტირებული მეთოდია. უმეტესი დრო სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ გრამატიკული წესების ახსნასა და თარგმნაზე იხარჯება. რაც შეეხება შემსწავლელის როლს, იგი შედარებით ნაკლებად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში და შესაბამისად პასიური ცოდნის მიმღებად გვევლინება. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის მსგავსად, 60-იან წლებში გავრცელებული იყო ე.წ. აუდიო-ლინგვალური (Audio-Lingual) მეთოდი, რომლის შემუშავება თავდაპირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 30-40-იან წლებში დაიწყო. სწავლების საფუძველი ზეპირი მეტყველებაა. გრამატიკის გარეშე სწავლება შეუძლებელია, თუმცა აქვე აზუსტებენ, რომ მხედველობაში აქვთ გრამატიკა, რომელიც ზეპირმეტყველებაში გამოიყენება. გარდა ამისა, ისინი სწავლების ობიექტად მიიჩნევენ – წინადადებას; ცალკე არ განიხილავენ არც სიტყვას და არც გრამატიკულ მოვლენებს. მათი აზრით, უცხოური ენის სწავლების საფუძველი ბგერითი სისტემა და სტრუქტურებია. ენის ასათვისებლად საუკეთესოა მიბაძვა, ანალოგიით წარმოება და ნიმუშის დასწავლა, ზეპირი სახით. აუდიო-ლინგვალური მეთოდის გამოყენების დროს გრამატიკის გაცნობა ხდება ინდუქციური მიდგომის გამოყენებით. ენის შემსწავლელი გრამატიკულ წესებს ეცნობა ყოველდღიური სიტუაციური ტექსტებისა და დიალოგების საშუალებით. დიდი ყურადღება ექცევა ასევე სიტყვების სწორად წარმოთქმას. აუდიო-ლინგვალური მეთოდი რამდენიმე ძირითად პრინციპს წარმოადგენს: გრამატიკული ასპექტები და

სტრუქტურული ნიმუშები ეცნობათ მოსწავლეებს დიალოგების საშუალებით, რომლებიც მოსწავლეების მხრიდან შეისწავლება რეპეტიციისა და იმიტირების გზით. რაც შეეხება ლექსიკას, მისი შესწავლა მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგანაც აუდიო-ლინგვალური მეთოდის ძირითადი მიზანია გრამატიკული ასპექტებისა და სამიზნე ენის ბგერითი სისტემების სწავლება, შესაძლებლობის ფარგლებში. სწორედ ამიტომ, მასწავლებელი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა გაკვეთილზე, ვინც პასუხისმგებელია სწავლების ხარისხზე. შემსწავლელები არიან იმიტატორები, ისინი ემორჩილებიან მასწავლებლის მითითებებს, გრამატიკულ წესებს და ამა თუ იმ ბგერების სწორად წარმოთქმას ეუფლებიან მოსასმენი დავალებების საფუძველზე. პირველ რიგში, ხდება მოსმენა, შემდეგ წარმოთქმა, რომელსაც მოსდევს კითხვა და წერა. აუდიო-ლინგვალური მეთოდის დროს სწორედ ასე შეისწავლება ენა ბუნებრივი თანმიმდევრობით – მოსმენა, მეტყველება, წერა და კითხვა. აღნიშნული მეთოდი ემყარება პრინციპს „მიიღე სწორად დასაწყისიდანვე“. აუდიო-ლინგვალური მეთოდი ემყარება რწმენას, რომ ენის შესწავლა არის ჩვევების ფორმირება ანუ იგივე (ბიჰევიორიზმის თეორია). „მასწავლებელი ორკესტრის ლიდერს ჰგავს, რომელიც წარმართავს და აკონტროლებს მოსწავლეების მიერ ენის სწორად გამოყენების პროცესს.“ (შავერდაშვილი, „უცხოური ენების სწავლების საფუძვლები, 42)) განმეორებითი სავარჯიშო, დიალოგის დამახსოვრება, სიტყვათა შენაცვლება, წინადადებების ტრანსფორმაცია, დიალოგის სრულყოფა, ჯაჭვური სავარჯიშო, აუდიო-ლინგვალური მეთოდისათვის დამახასიათებელი აქტივობებია. ზემოთ ხსენებული მეთოდი წარუმატებელი აღმოჩნდა მთავარი მიზნის მიღწევაში, რადგანაც არ ემსახურებოდა კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას. სინამდვილე კი შემდეგში მდგომარეობდა: მოსწავლეებს წლების შემდეგ, რომლებიც აუდიო-ლინგვალური მეთოდით სწავლობდნენ კვლავ ახსოვდათ დაზეპირებული დიალოგები, მაგრამ არ შეეძლოთ უცხო ენაზე თავისუფლად საუბარი. გრამატიკულ-მთარგმნელობითი და აუდიო-ლინგვალური მეთოდებით გამოწვეული უკმაყოფილების შედეგს წარმოადგენს თანამედროვე მეთოდი – კომუნიკაციური მიდგომა ენის სწავლებაში (Communicative Language Teaching), რომელიც მეოცე

საუკუნის ბოლოს განვითარდა. კომუნიკაციური მეთოდის მიზანია, ასწავლოს მოსწავლეებს კომუნიკაცია (საუბარი) ცოცხალ ენობრივ გარემოში, განსხვავებით გრამატიკის წესების მექანიკური არჩევის და იმ სიტყვების გაზეპირებისაგან, რომლებსაც მოსწავლეები არასოდეს გამოიყენებენ საკლასო ოთახსა თუ ყოველდღიურ ურთიერთობაში. კომუნიკაციური მიდგომა ხაზს უსვამს ენის ფუნქციების მნიშვნელობას და არა მის ლექსიკას და გრამატიკას. მისი ძირითადი პრინციპია მოსწავლეებს მისცეს საშუალება სათანადოდ გამოიყენონ ენის ფორმები განსხვავებულ კონტექსტში სხვადასხვა მიზნისათვის. არის ათი ძირითადი პრინციპი, რომელიც აღნიშნული მიდგომისათვის დამახასიათებელია. ესენია: პრაქტიკა, კომუნიკაციური ინტერაქცია, აქტიური მონაწილეობა, დადებითი ენერჯია, აქტივობისა და კურსის შეცვლა, სასწავლო პროცესის გახალისება, შესაფერისი მასალების შერჩევა; აგრეთვე, იმის გათვალისწინება, რომ დაშვებული შეცდომები აბსოლუტურად ბუნებრივია და თუნდაც დამწყებ მოსწავლეებსაც კი აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ გაანალიზონ იგი. კომუნიკაციური მიდგომის გამოყენებისას გრამატიკული მასალა შეიძლება ახსნილი იქნეს კონკრეტული სიტუაციების გამოყენებით, როგორცაა, მაგალითად, დიალოგები. ისინი გამიზნულია ერთი რომელიმე ცნების, ანდა მნიშვნელობის სწავლებაზე. გრამატიკული სავარჯიშოებისა და დავალებების შესრულების დროს მხედველობაში მიიღება მოსწავლეთა ინდივიდუალურობა – სხვადასხვა ინდივიდი განსხვავებულად სწავლობს. უფრო მეტიც, სავარჯიშოები ხელს უწყობენ მოსწავლეთა გააქტიურებას. ამ დროს უპირატესობა ენიჭება არა წერით, არამედ ზეპირ დავალებებს, ან ორივეს ერთად, თუმცა, ზეპირი დავალებები მეტად წარმატებულია. კომუნიკაციურ სიტუაციაში გრამატიკის სწავლების კიდეც ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ის, რომ შეცდომებზე არ უნდა იყოს ყურადღება გამახვილებული, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლეთა დაძაბულობა და შიში, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება კომუნიკაციური მიდგომის მიზანს – გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია და თავდაჯერებულობა ენის შესწავლის პროცესში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გრამატიკული ასპექტების ახსნისას მასწავლებელი იყენებს ინდუქციურ მიდგომას, რომელიც შეეხება მოსწავლისა და მასწავლებლის როლს, უნდა ითქვას, რომ რადგანაც კომუნიკაციური მიდგომა

ორიენტირებულია კომუნიკაციის პროცესზე, შემსწავლელებიც კომუნიკატორების როლს ასრულებენ. ისინი აქტიურად არიან ჩაბმულნი კომუნიკაციაში, თუნდაც არასრულყოფილი ცოდნის არსებობის შემთხვევაში და არ აშინებთ შეცდომების დაშვება. მასწავლებელი არის ფასილიტატორი, იგი ხელს უწყობს კომუნიკაციის პროცესს შემსწავლელებს შორის. ამ დროს მასწავლებელმა შესაძლოა შეითავსოს ისეთი ფუნქციებიც, როგორცაა მრჩეველი, ანალიტიკოსი, მენეჯერი და ა.შ. მშობლიური ენა ძალზე იშვიათად გამოიყენება, შემსწავლელიც და მასწავლებელიც ცდილობენ სამიზნე ენის აქტიურად გამოყენებას. გარდა ამისა, მასწავლებელი აფასებს არა მხოლოდ სიზუსტეს, არამედ ენის თავისუფლად გამოყენებასაც. სავარჯიშოების შესრულების დროს მასწავლებელი არ ასწორებს მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებს, მაგრამ მოგვიანებით იგი აუცილებლად ავარჯიშებს მოსწავლეებს იმ ასპექტებში, რაშიც შეცდომებია დაშვებული. ვფიქრობ , რომ შენიშვნების გარდა მასწავლებელმა, ასევე, უნდა დააფასოს და შეაქოს ის მოსწავლეები, ვინც კომუნიკაცია წარმატებით დაამყარა ერთმანეთთან. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურად ჩაბმის ერთადერთი საშუალება შესაფერისი სასწავლო მასალის შერჩევაა, ანუ სავარჯიშოების მორგება შემსწავლელთა ცოდნისა და ასაკობრივი დონის, გაკვეთილის მიზნების, მასშტაბურობისა და ინტენსივობის გათვალისწინებით. კომუნიკაციური მიდგომისათვის დამახასიათებელია შემდეგი სავარჯიშოები:

1. არეული წინადადებები (scrambled sentences);
 2. ენობრივი თამაშები (language games);
 3. პრობლემის გადაჭრა (problem-solving);
 4. როლური თამაშები (role-plays);
 5. სოციო-დრამები (socio-dramas).
- ✓ რაც შეეხება კომუნიკაციას, როგორც ერთობლივი ქმედება, იგი სწავლების მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს, რადგან იგი მეტწილად განაპირობებს მეცადინეობის წარმატება/წარუმატებლობას. მასწავლებლის

მიზანი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის გაკვეთილის მსვლელობაში თანამონაწილეობის უფლების მიცემა. ასეთი მიდგომა ძალზე მნიშვნელოვანია უცხო ენის გაკვეთილის წარმართვისათვის. კომუნიკაციური მიდგომის გავრცობილ ფორმას დავალებაზე ორიენტირებული ენის სწავლება წარმოადგენს. დავალებაზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი პრინციპების ანალიზი გვიჩვენებს ამ ორ მეთოდს შორის არსებულ ამკარა მსგავსებას. აქაც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია თავისუფალ მეტყველებაზე. მოტივაცია კომუნიკაციის დასამყარებლად ძალიან მნიშვნელოვანია. მასალების შერჩევა და ადაპტირება ხდება ავთენტური წყაროებიდან. დავალებაზე ორიენტირებულ სწავლებაში მოიაზრება ოთხი ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც:

- ✓ მნიშვნელობა უმთავრესია;
- ✓ გრამატიკა და ფორმა არ არის იგნორირებული;
- ✓ დავალება წარმოადგენს სრულყოფილ ერთეულს;
- ✓ სისტემატური კავშირი არსებობს პედაგოგიურ დავალებებსა და სამიზნე რეალურ დავალებებს შორის.

დავალებაზე ორიენტირებული ენის სწავლების ფარგლებში მოიაზრება სამი ძირითადი საფეხური: ა)დავალებამდელი, ბ)დავალების ციკლი და გ)ენის ფოკუსირება. დავალებამდელ ფაზაში მასწავლებელი წამოჭრის საკითხს მოსწავლეებთან ერთად და ხაზს უსვამს მათთვის საინტერესო სიტყვებსა თუ ფრაზებს, ეხმარება მოსწავლეებს დავალების ინსტრუქციის გააზრებაში. დავალების ციკლის დროს, მოსწავლეები ასრულებენ დავალებას წყვილებში ან პატარა ჯგუფებში, მაშინ, როდესაც მასწავლებელი აკვირდება შორიდან. მოსწავლეები გეგმავენ მოხსენების წარდგენის ფორმას კლასის წინაშე. ენის ფოკუსირების ეტაპზე კი მოსწავლეები ვარჯიშობენ იმ ენობრივი ერთეულების გამოყენებაზე, რაც მათთვის პრობლემას წარმოადგენს. დავალებაზე ორიენტირებულ აქტივობებს ერთი რამ აერთიანებთ:

ყოველი მათგანი ითვალისწინებს კომუნიკაციური ენის გამოყენებას, სადაც ყურადღება გამახვილებულია უფრო მეტად მნიშვნელობაზე, ვიდრე ენის სტრუქტურაზე. ამ მეთოდისათვის დამახასიათებელი აქტივობებია: 1.გამოტოვებული ინფორმაციის შევსება; 2.პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობები; 3.მსჯელობაზე ორიენტირებული აქტივობები; 4.როლური თამაშები .

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან სათავეს იღებს კიდევ ერთი მეთოდი – სრული ფიზიკური პასუხი. ამ მეთოდის გამოყენების დროს მოსწავლეები ბევრს უსმენენ და მოძრაობენ. „მასწავლებელი არის წარმოდგენის რეჟისორი, მოსწავლეები კი – მსახიობები“. ენის დაუფლება სწორედ მეტყველების დაწყებამდე მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებით უნდა დაიწყოს. რა განასხვავებს სრულ ფიზიკურ პასუხს სხვა მეთოდებისაგან? ის, რომ მოსწავლეებს არაფრის თქმა არ ევალებათ და ენა შეისწავლება ფიზიკურ აქტივობათა საშუალებით. მოსწავლეები უბრალოდ უსმენენ მასწავლებლის მითითებებს და პასუხად მოძრაობით რეაგირებენ. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია დამწყებთათვის, რამეთუ ისინი ცოდნას იძენენ და მეტყველებენ ყოველგვარი ნერვიულობისა და დამაბულობის გარეშე. თავდაპირველად მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ასრულებენ მოქმედებას, შემდეგ კი დამოუკიდებლად, რაც სწავლის პროცესს უფრო სახალისოს ხდის. მოსწავლეები თავდაპირველად ასრულებენ მსენელებისა და შემსრულებლების როლს. ისინი ყურადღებით უსმენენ მასწავლებელს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დამწყებთათვის საჭირო არ არის რაიმე თვალსაჩინო მასალის გამოყენება გაკვეთილზე, რამეთუ მასწავლებლის ხმა, ქმედება და ჟესტიკულაცია სრულიად საკმარისია აქტივობათა შესასრულებლად. თუმცა, თვალსაჩინოება დიდ როლს თამაშობს სწავლების შემდეგ ეტაპებზე. ამ დროს მასწავლებელი იყენებს კლასში არსებულ ნივთებს, როგორცაა წიგნები, კალმები, ავეჯი, ასევე სურათები. მან შეიძლება გამოიყენოს რეალური სიტუაციებიც. ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ მოსწავლეები იძულებით არ იწყებენ სამიზნე ენაზე საუბარს.

„სრული ფიზიკური პასუხი“-ის მეთოდოლოგია შემდეგში მდგომარეობს: – შესასწავლ ენაში საუკეთესო საშუალებაა მნიშვნელობის ქმედებით გადმოცემა; – ენის

შემსწავლელელები უკეთ ითვისებენ სახალისო მოქმედებებით; – მოსმენის უნარი სხვა უნარების განვითარების წინამძღოლია; – ენის შემსწავლელებს ესაჭიროებათ გარკვეული დრო მანამ, სანამ შეძლებენ შესასწავლ ენაზე საუბარს; – სწავლა წინსვლის გარანტიაა, ხოლო კონკრეტული მეთოდი ენის შემსწავლელების მიზნის მიღწევას ემსახურება. XIX საუკუნის დასასრულს ვითარდება ე.წ. პირდაპირი მეთოდი, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდისაგან. პირდაპირი მეთოდი წააგავს გუინის (Gouin) სერიულ მეთოდს, რომლის თანახმადაც უცხო ენის სწავლებისას უნდა შეიქმნას ისეთივე პირობები, როგორც მშობლიური ენის ათვისებისას – რაც შეიძლება მეტი ზეპირი ინტერაქცია, ენის ნებაყოფლობითი გამოყენება და არანაირი თარგმანი. ამ მეთოდის წარმომადგენლები ცდილობდნენ უცხო ენის სიტყვებისა და გრამატიკული მოვლენების დაკავშირებას შესატყვის მნიშვნელობასთან მშობლიური ენის გვერდის ავლით. მასწავლებლები იყენებდნენ საგნებს, თვალსაჩინოებებს, რეალიებს მასალის გასაგებად წარმოჩენის მიზნით. გრამატიკა ისწავლებოდა ინდუქციური გზით. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ლექსიკის სწავლებას და ასევე ინტერაქციის ხელშეწყობას შემსწავლელებსა და მასწავლებლებს შორის. თავიდანვე წერა და კითხვა ისწავლებოდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფონეტიკის სწავლებას. სწავლების პროცესი მიემართებოდა ზეპირი მეტყველებიდან წერითი მეტყველებისაკენ. პირდაპირი მეთოდისათვის დამახასიათებელი შემდეგი პრინციპებია: 1. კლასში სწავლება მიმდინარეობს სამიზნე ენაზე; 2. ისწავლება მხოლოდ ყოველდღიური კომუნიკაციისათვის საჭირო ლექსიკური ერთეულები და წინადადებები; 3. პატარა კლასებში მასწავლებლისა და მოსწავლის კომუნიკაცია ეფუძნება აზრთა გაცვლა-გამოცვლას კითხვა-პასუხის რეჟიმში; 4. გრამატიკის სწავლება მიმდინარეობს ინდუქციურად; 5. ახალი სასწავლო მასალა პრაქტიკაზე დაყრდნობით ისწავლება; 6. კონკრეტული ლექსიკური ერთეულები ისწავლება საგნებისა და სურათების დემონსტრირებით, აბსტრაქტული ლექსიკა ისწავლება იდეების ასოციაციის საფუძველზე; 7. ხდება მეტყველებისა და მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარება; 8. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბგერათა სწორ წარმოთქმას და გრამატიკას. ბუნებრივი მეთოდის ძირითადი მიზანია შეუფერხებელი

მეტყველების განვითარება, სწორედ ამიტომ საკლასო აქტივობათა დიდი ნაწილი კომუნიკაციურ ხასიათს ატარებს. მასალის ათვისება ხდება ყოველგვარი ძალდატანებისა და მშობლიური ენის გამოყენების გარეშე. ბუნებრივი მეთოდისათვის დამახასიათებელია სწავლების სამი ეტაპი: 1. პირველი ეტაპი გულისხმობს მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ სტუდენტი თვითონ არ დაიწყებს საუბარს; 2. მეორე ეტაპი ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელობაზე და არა ფორმაზე. მასწავლებელი ცდილობს გაასწოროს მხოლოდ ის შეცდომები, რომლებიც ხელს უშლიან მნიშვნელობის გააზრებას; 3. მესამე ეტაპის ამოცანაა ხელი შეუწყოს თავისუფალ, შეუფერხებელ მეტყველებას. შესაბამისად, მასწავლებელს მოეთხოვება ნაკლები ყურადღება გაამახვილოს მოსწავლეების მიერ დაშვებულ შეცდომებზე. ამ ეტაპზე გამოიყენება როლური თამაშები, ღია ტიპის დიალოგები, დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. ბუნებრივი მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი სამი ძირითადი როლის შემსრულებელია. პირველ რიგში, იგი უზრუნველყოფს ენობრივი მასალის გასაგებად მიწოდებას მოსწავლეთა სამიზნე ენაზე. გარდა ამისა, მასწავლებელი ქმნის მეგობრულ და საინტერესო ატმოსფეროსა და გარემოს საკლასო ოთახში. ეს კი მიიღწევა იმ გზით, რომ მასწავლებელი არ მოითხოვს მოსწავლეებისაგან მეტყველების დაწყებას მანამ, სანამ მოსწავლეების მზად არ იქნებიან. მასწავლებელი არჩევს მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებზე. მასალა უფრო მეტად შეირჩევა რეალური სამყაროდან (რეალიები) და არა სახელმძღვანელოებიდან. მასალის ახსნისას გამოიყენება სურათები და სხვა თვალსაჩინოებები, რომლებიც ემსახურება დიდი რაოდენობით ლექსიკური მასალის დაუფლებას. შემდეგი მეთოდი – სუგესტოპედია განვითარდა 1970-იან წლებში. ეს მეთოდი იძლეოდა სამიზნე ენის სამჯერ უფრო სწრაფად დაუფლების საშუალებას. მასში შეინიშნება „სუგესტოლოგიის“ მეცნიერების გავლენა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ზემოქმედებას ადამიანის გონებაზე თუნდაც დასვენების დროს. აღნიშნული მეთოდის წარმატებით განხორციელებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია კლასში არსებული გარემო, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მშვიდი, რელაქსაციური. მისი მიზანია, შემსწავლელებმა აითვისონ ახალი მასალა მოდუნებულ

მდგომარეობაში ყოველგვარი სტრესისა და დამაბულობის გარეშე. გარდა ამისა, საკლასო ოთახი უნდა იყოს აღჭურვილი კომფორტული ავეჯით, უნდა გამოიყენებოდეს სიმშვიდის მომგვრელი მუსიკა. ნებადართულია მშობლიური ენის გამოყენება განსაკუთრებით მითითებების მისაცემად. შეიძლება ითქვას, რომ ფრაზები – „ვფიქრობ მე შემოდლია; ვიცი მე შევძლებ“ სუგესტოპედიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თუ მოსწავლე გრძნობს, რომ შეუძლია სწავლა, ის აუცილებლად ისწავლის. ეს აღნიშნავს, რომ „სწავლების ძირითად მიზანს დაზეპირება კი არ წარმოადგენს, არამედ პრობლემათა გაანალიზება და კრეატიული გადაჭრა.“

სუგესტოპედიის მეთოდის გამოყენებისას რამდენიმე დამახასიათებელი თავისებურებაა: აბსოლუტური თავდაჯერებულობა; • ჩაცმის სტილი და კარგი მანერები; • პუნქტუალურობა, არჩევანი და სიმკაცრე; • საზეიმო განწყობა გაკვეთილზე; • ცოდნის შემოწმება და მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების ტაქტიანი შესწორება; • მასალის გლობალური ანალიზი; • დიდი ენთუზიაზმი.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ გრამატიკული მასალის ახსნისათვის საჭირო ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით უცხო ენის, კერძოდ კი, ინგლისურის შესწავლას აქვს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ კომუნიკაციური ხასიათი. ენის სწავლისა თუ დაუფლების პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე გრამატიკის სწორი ფორმების გამოყენებას. გრამატიკის შესწავლა კი შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გზით. მასწავლებელს შეუძლია მათი ერთდროულად გამოყენება, რაც შესაძლებლობას აძლევს გაიგოს, თუ რომელი მათგანია ყველაზე წარმატებული მის გაკვეთილზე. ამა თუ იმ მეთოდის ეფექტიანობის მიზნით კი გათვალისწინებული უნდა იყოს შემსწავლელთა ასაკი, ინტერესები, ცოდნის დონე, სწავლის სტილი, პიროვნულობა და სხვა.

2.3 უცხოური ენის სწავლების მეთოდების გამოყენებითი მნიშვნელობა

წინა თავში განხილული მეთოდების საფუძველზე ნებისმიერ დაკვირვებულ და ენთუზიასტ პედაგოგს თავისთვის ბევრი სასარგებლო დასკვნის გამოტანა შეუძლია. ცალკე აღებული, ყოველი მეთოდი მიმართულია ენის ეფექტურად სწავლა-სწავლების მიზნისაკენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულმა მეთოდმა უცხოური ენების სწავლების ხანგრძლივი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე თავისი როლი შეასრულა და მეთოდის განვითარებასა და დახვეწაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. წინა თავში ჩამოთვლილი მეთოდები თავისი ეპოქის სასწავლო მოთხოვნილებებს პასუხობდა. შესაბამისად მათ თავისი ფუნქციონალური მისია აქვთ შესრულებული. თანამედროვე მეთოდების შემუშავებაც და მათი პრაქტიკაში გამოყენებაც დღის წესრიგში უცხოენოვანი კომუნიკაციის თანამედროვე მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. ამიტომაც მიმდინარეობს პედაგოგ-მეთოდისტთა ურთიერთთანამშრომლობა, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. გამოცდილებისა და მეთოდური იდეების გაცნობა საკმაოდ დადებით ეფექტს იძლევა, რაც დამწყები პედაგოგების პროფესიულ ზრდას და მათში სწავლების მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. დღეს ჩვენი ქვეყნის სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართული პროფესიულ ტრენინგებში, მათ შორის თავადაც გახლდით რამდენიმე სწავლებაზე. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემთვის ეს სწავლებები საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა, ინგლისური ენის სწავლების აქ გაჟღერებული მიდგომების გამოყენება მიზანშეწონილად ჩავთვალე ჩემს მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე, ძალიან ბევრი აქტივობა, რომელიც ტრენინგებზე შევისწავლე, მასტიმულირებელი აღმოჩნდა ჩემს მოსწავლეებში ენის შესწავლის მოტივაციის გაზრდისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პედაგოგ-მეთოდისტთა გარკვეული ნაწილი ტრადიციული მეთოდების აბსოლუტურ უგულებელყოფას ეწევა და აცხადებს, რომ მათი რომელიმე მეთოდის სწავლებაში გამოყენება შესაძლოა შემაფერხებელი ფაქტორი იყოს უცხოური ენის სწავლების ეფექტიანობის მიღწევაში. ვფიქრობ, რომ თანამედროვე მეთოდისტთა ამ ნაწილის მიდგომა - ხელაღებით უარი თქვას რომელიმე

ტრადიციული მეთოდით სწავლებაზე, მაგალითად გრამატიკულ-მთარგმნელობით, ან ვიზუალურ-ლინგვალურ მეთოდზე, არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, და აქვე დავასაბუთებ, რატომაც:

უპირველეს ყოვლისა მიმაჩნია, რომ თანამედროვე სკოლამ უნდა აღზარდოს არა მხოლოდ კონკრეტულ უცხო ენაზე მოსაუბრე მოქალაქე, არამედ ამ ენის საფუძვლიანი მცოდნეც, რომელიც ძალდატანების გარეშე დამოუკიდებლად მოახერხებს ენის გამოყენებას არა მხოლოდ კომუნიკაციური მიზნებისათვის (რასაც ენის გარკვეულ ცოდნასთან ერთად ეხმარება ინტონაციის, მიმიკების, ჟესტიკულაციის ფაქტორიც), არამედ პუბლიკაციების სათანადო აღქმასა და გააზრებას, და რაც მთავარია, წერით მეტყველებასაც. აი, ზუსტად წერითი მეტყველების სრულყოფისათვის მიმაჩნია საკმაოდ ეფექტური ისეთი ტრადიციული მეთოდის ელემენტების შემოტანა თანამედროვე უცხოური ენის გაკვეთილებზე, როგორცაა გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, რომელიც ორიენტირებულია გრამატიკული კონსტრუქციების ათვისებაზე, რაც თავისთავად, მნიშვნელოვანია სათქმელის სწორად ჩამოყალიბებისათვის, რათა მკითხველმა სწორად და ზედმიწევნით გაიგოს თუ რისი თქმა სურს ავტორს. თანამედროვე სკოლებში მოქმედი სახელმძღვანელოები ძირითადად ორიენტირებულია ლექსიკური ერთეულების, ფრაზეოლოგიზმებისა და იდიომების ათვისებაზე, რაც თავისთავად მისასალმებელია, რადგან ეს ყველაფერი საკმაოდ ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს მოსწავლის ლექსიკურ ბაზას. თუმცა ეს არ არის საკმარისი დახვეწილი და გამართული წერითი მეტყველებისათვის. შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა, რატომ ვამახვილებ ყურადღებას გამოყენებითი ენის ამ ნაწილზე, მით უფრო რომ ზეპირმეტყველებითი კომუნიკაცია უფრო აქტიურია დღევანდელ პრაქტიკაში. პასუხად საკმაოდ პრიმიტიულ მიზეზებს დავასახელებ: ჯერ ერთი, ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნებიდან გამომდინარე, აბიტურიენტს უხდება ორი წერითი დავალების შესრულება საქმიანი წერილისა და ესეს სახით, სადაც კონკრეტული ენის გამართული სტრუქტურა უნდა იყოს დაცული, რაც მხოლოდ ლექსიკური ერთეულების ცოდნით არ შემოიფარგლება, და მეორეც, ჩვენი ქვეყანა

ცდილობს საერთაშორისო ასპარეზზეც მყარად დაიმკვიდროს თავი, რისთვისაც აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროგრამებში. მაგალითისათვის ავიღებ ჩვენი ახალგაზრდების უცხოეთის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სასწავლებლად წასვლას, რასაც ენის მხოლოდ კომუნიკაციურ დონეზე ცოდნა ვერ უზრუნველყოფს, უფრო მეტიც, მათ ენის კლასიკური ცოდნა მოეთხოვებათ. აქვე მინდა დავამატო კიდევ ერთი ფაქტორი, თუმცა ეს სასკოლო განათლების ფარგლებს სცილდება. ეს არის კარგი მთარგმნელის დეფიციტი ქვეყანაში. თუ გადავხედავთ უცხოური სტატიებისა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანებს, აშკარად შეიმჩნევა მთარგმნელობითი ხარვეზი. მიმაჩნია, რომ ეს ისევ და ისევ უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგიაში არსებულ გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება. სასურველია მეთოდისტებმა ამ მიმართულებითაც დაიწყონ ფიქრი, რათა უფრო დაიხვეწოს ენების სწავლების ხერხები.

დასკვნა

მეორე თავის დასრულების შემდეგ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ დასკვნა. 21-ე საუკუნეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ტრადიციულ ისე თანამედროვე მეთოდების სწავლებას ინგლისური ენის საგაკვეთილო პროცესში. მოცემულ თავში ჩვენ განვიხილეთ ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების სახეები, ასევე ნათელი

გახდა, თუ როგორ ხდებოდა გრამატიკის სწავლება ტრადიციული მეთოდების გამოყენებით. ორივე ტიპის მეთოდური სწავლება ცალსახად აუცილებელია მოსწავლეებისათვის და რათქმაუნდა მასწავლებლებისათვის.

უცხოური ენის სწავლების პროცესში ვფიქრობ, მასწავლებელი არ შეიძლება იყოს შეზღუდული რომელიმე ერთი მიმართულების მეთოდით. პირიქით, მას უნდა მიეცეს თავისუფალი მოქმედების საშუალება, რათა თავისი მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ნებისმიერი გამოცდილი მეთოდის გამოყენებით დადოს საუკეთესო შედეგი.

უმჯობესი იქნება, თუ მასწავლებელი შეძლებს მოახდინოს ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდების კომბინირება, რომელიც გამყარებული იქნება მრავალფეროვანი აქტივობებით, რა თქმა უნდა, განპირობებული მოსწავლეთა საუკეთესო მიზნობრივი ინტერესებით, რაც საბოლოოდ მათ წარმატებაში აისახება.

თავი III

კვლევა ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენება

დღევანდელი სასწავლო პროცესები

3.1 კითხვარი მასწავლებლებისთვის

დღესდღეობით ინგლისური ენის საგაკვეთილო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა, როგორც ტრადიციულ ასევე თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. იმისათვის, რომ სრულფასოვანი და ეფექტიანი იყოს მოცემული თემა ან უფრო ყველასთვის შედეგიანი, ამ მიზნებით შევადგინე კითხვარი მასწავლებლებისათვის (იხ. დანართი 1). რამდენიმე ინგლისური ენის მასწავლებელს ვთხოვე, რეალური პასუხი გაეცათ კითხვარებზე და შედეგი რეალური ყოფილიყო.

დანართი 1.

1. მასწავლებელთა ასაკი
 - ა. 30 - მდე
 - ბ. 30 -45
 - გ. 45 - ზემოთ
2. რა ტიპის წინააღმდეგობას აწყდებით ინგლისური ენის სწავლებისას?
 - ა. დაბალი მოტივაცია
 - ბ. ენის არცოდნა
 - გ. გაკვეთილის გაცდენა
 - დ. სასწავლო პროცესში აქტიურობის კომპლექსი
 - ე. დავალების შეუსრულებლობა
3. კონკრეტულად რა უნარ(ებ)ის განვითარებაზე ხართ ორიენტირებული გარდა (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა)?
პასუხი: -----
4. დაასახელეთ აქტივობები რომელსაც ეფექტურად იყენებთ საგაკვეთილო პროცესში უნარ- ჩვევების განსავითარებლად:
პასუხი:-----
5. თქვენი შეხედულებით რომელი მეთოდია უფრო ეფექტური ინგლისური ენის სწავლებისას?
პასუხი:-----
6. რამდენად ხშირად იყენებთ გრამატიკულ მთარგმნელობით მეთოდს?


- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
7. რამდენად ხშირად იყენებთ პირდაპირ მეთოდს?
- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
8. რამდენად ხშირად იყენებთ აუდიო - ლინგვალურ მეთოდს?
- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
9. რამდენად ხშირად იყენებთ აუდიო - ვიზუალურ მეთოდს?
- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
10. რამდენად ხშირად იყენებთ შერეულ მეთოდს?
- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
11. რამდენად ხშირად იყენებთ კომუნიკაციურ მეთოდს?
- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
12. რამდენად ხშირად იყენებთ სრული ფიზიკური რეაგირების მეთოდს?
- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
13. რამდენად ხშირად იყენებთ დრამის მეთოდს?

- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
14. რამდენად ხშირად იყენებთ დავალებაზე ორიენტირებულ მეთოდს?
- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
15. რამდენად ხშირად იყენებთ სუბსტრუქტუალურ მეთოდს?
- ა. ყოველთვის
 - ბ. ხშირად
 - გ. არასოდეს
16. ვეთანხმებით, რომ მეთოდების გამოყენება მასალის საჭიროებიდან და მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს?
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. არ ვეთანხმები
 - გ. ნაწილობრივ ვეთანხმები
 - დ. ვეთანხმები
 - ე. სრულიად არ ვეთანხმები

3.2 დიაგრამები და ცხრილი


წარმოგიდგინებთ გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების პროცენტულ მაჩვენებლებს დიაგრამების ცხრილის სახით (*დიაგრამა 1, 2, 3,4,5, 6 და ცხრილი №1*)

დიაგრამა 1



დიაგრამის მიხედვით კარგად ჩანს, რომ გამოკითხვაში 50 % 30 წლამდე ასაკის მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა, 25 % 30-45 წლამდე ასაკის და 45-ზემოთ 25%.

დიაგრამა 2




მოცემული დიაგრამა პროცენტულად გვიჩვენებს რომ , ინგლისური ენის სწავლებისას დიდი წინააღმდეგობა დავალების შეუსრულებლობაა. ასევე ზოგიერთი თვლის , რომ ზოგჯერ საგაკვეთილო პროცესში აქტიურობის კომპლექსია, რაც შემდეგ აისახება საგაკვეთილო პროცესზე.

დიაგრამა 3

კონკრეტულად რა უნარ(ებ)ის განვითარებაზე ხართ ორიენტირებული გარდა (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა)?

■ დიალოგიური ■ მონოლოგიური ■ გაბმული ■ ინტერაქტიული




მოცემული კითხვაზე უმრავლესი მასწავლებელი თვლის, რომ ინგლისური ენის გაკვეთილზე მნიშვნელოვანია დიალოგიური და მონოლოგიური უნარები, რაღაც ნაწილმა გაბმული რაღაც ნაწილმა კი ინტერაქტიული უნარები აირჩია, ეს ყველაფერი კი რათქმუნდა მეტყველებაზეა ორიენტირებული.

დიაგრამა 4.


დაასახელეთ აქტივობები რომელსაც ეფექტურად იყენებთ საგაკვეთილო პროცესში უნარ- ჩვევების განსავითარებლად:

■ ლექსიკური თამაშები (ჯგუფური)
 ■ როლური თამაშები
 ■ შებრუნებული საკლასო ოთახი
 ■ კეთებით სწავლება
 ■ სიტყვების აწყობა ან შესაბამისობა სურათებთან
 ■ აუდიოების სწავლება
 ■ სხვა



მოცემულ დიაგრამის მიხედვით, მასწავლებელთა ნაწილმა სხადასხვა პასუხი გასცა. პროცენტულად თუ დავაკვირდებით, ჩამოთვლილი აქტივობების გარდა, მასწავლებელთა 34 % - მა სხვა აქტივობები აირჩია, რომლებსაც საგაკვეთილო პროცესში უნარ - ჩვევების განსავითარებლად იყენებენ.

დიაგრამა 5



პროცენტული განაწილებით თუ დავინახავთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ინგლისური ენის სწავლებისას, მასწავლებლის 50% გრამატიკულ მთარგმნელობითი მეთოდს თვლის ყველაზე ეფექტურად, მას მოჰყვება 20 -% აუდიო-ლინგვალური, 10%- შერეული, 7% - კომუნიკაციური და 13 % - სხვა

ცხრილი № 1


რამდენად ხშირად იყენებთ შემდეგ მეთოდებს?

1. ყოველთვის.
2. ხშირად.
3. არასოდეს.

გრამატიკულ მთარგმნელობითი	დავალ ებაზე ორიენტირებული	პირდაპირი	აუდიოლინგვალური	აუდიო-ვიზუალური	შერეული	კომუნიკაციური	სრული ფიზიკური პასუხი	დრამის	სუგესტოპედიის
1. 50%	50%	20%	60%	65%	80%	40%	25%	27%	10%
2. 50%	45%	30%	35%	20%	20%	40%	25%	23%	90%
3.--	5%	-	5%	15%	-	20%	50%	50%	-

იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად იყენებენ მასწავლებლები მოცემულ მეთოდებს, შედეგები ნათლადაა პროცენტულად მოცემული. გარდა ამის თუ კარგად დავაკვირდებით, პედაგოგთა უმრავლესობა, კერძოდ 50% ყოველთვის და ხშირად იყენებენ გრამატიკულ მთარგმნელობით მეთოდს, მას მოჰყვება აუდიო-ლინგვალური 60% და აუდიო-ვიზუალური 65%. მასწავლებელთა 80% შერეულ მეთოდებს ანიჭებს უპირატესობას, დავალებზე ორიენტირებული მეთოდს თითქმის 50% ირჩევს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი სუგესტოპედია, რომელსაც 90% მხარს უჭერს.

დიაგრამა 6



მოცემული დიაგრამის მიხედვით დავინახავთ, რომ მეთოდების გამოყენება, მასალის საჭიროებიდან და მოსწავლეთა შესაძლებლობებიდან უნდა გამომდინარეობდეს. პედაგოგთა 70% ამ მოსაზრებას სრულიად ეთანხმება, 20 % უბრალოდ ეთანხმება, 5% -5% ნაწილობრივ ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან.

3.3 სახელმძღვანელოების შედარება.

უცხო ენის შესწავლისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სწორად შერჩეულ სახელმძღვანელოს, რომელიც სასწავლო პროცესის თანამდევია და აუცილებელი ელემენტია. სასწავლო საგანი, რაც უფრო მორგებულია სტანდარტულად ეროვნული გეგმის გათვალისწინებით მით უფრო ადვილია მისი გამოყენება სასწავლო პროცესში. მის გარეშე უცხო ენის შესწავლა მეტად რთულია. სწორად შერჩეული სახელმძღვანელო მნიშვნელოვანია, როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის და მათთან ერთად ცნობილი დიდაქტიკური სამკუთხედის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე სასწავლო გარემოში მასწავლებელთა უმრავლესობა უარს აცხადებს ერთი რომელიმე

სახელმძღვანელოს გამოყენებაზე და თვითონ არჩევს საკითხს, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისათვის სახელმძღვანელო კვლავ რჩება ძირითად სამუშაო საშუალებად.

სულ რამდენიმე წლის წინ უცხო ენის ტრადიციული სახელმძღვანელო მხოლოდ ერთი წიგნისაგან შედგებოდა, ხოლო დღეს თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელო რამდენიმე მეთოდოლოგიური კომპლექტებისაგან შედგება, მაგალითად მოსწავლის წიგნი, მოსწავლის სამუშაო რვეული, მასწავლებლის წიგნი, ტესტების რვეული, აუდიო და ვიდეო მასალა, CD-ს, სავარჯიშო წიგნებს, გრამატიკულ მასალას, ონლაინ მასალა და სხვა. უცხო ენის სრულად ათვისებისათვის ყველა კომპონენტი აუცილებელია, მათგან რომელიმეს გამოტოვების შემთხვევაში მიზანი სრულად ვერ მიიღწევა.

ძველ სახელმძღვანელოებში ხშირად ძირითად ნაწილს ვრცელი ტექსტები მოიცავდა, მაგრამ თანამედროვე სახელმძღვანელოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს :

- კომუნიკაციაზე ორიენტირებას;
- ქმედებაზე ორიენტირებას;
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას;
- ინტერკულტურულ სწავლებას;
- მოსწავლის ავტონომიურობაზე ორიენტირებას და სხვა

დღევანდელ სახელმძღვანელოში შესასწავლი ენისა და ქვეყნის, მისი კულტურის გაცნობა ენის ათვისების სხვა ასპექტებთან (ახალ მასალაში შეტანილი ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული მოვლენები; მოსმენის უნარ ჩვევებში ვარჯიში და სხვა.) ინტეგრირებულად ხდება. უცხო ენის შესწავლა, ენის დაუფლებასთან ერთად, განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებისა და ენობრივ კულტურული თვითმყოფადობის დაფასებასა და პატივისცემას გულისხმობს. ამიტომ, დღეს

სასწავლო საგნის მიზანია ენის შემსწავლელი კომუნიკაციური და ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება ენობრივი კომპეტენციის განვითარებასთან ერთად.

საგაკვეთილო პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავია სახელმძღვანელოს სწორად შერჩევას. ამ დროს მასწავლებელმა სხვადასხვა კრიტერიუმი უნდა გაითვალისწინოს. პირველ რიგში უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მარტივად და სრულყოფილად აითვისონ უცხო ენა. სწორი არჩევანი ყოველთვის საინტერესოა და მას სასურველ შედეგამდე მიჰყავს მოსწავლე.

მაგალითისათვის მოვიყვან ინგლისური ენის მე-8 კლასის 3 სახელმძღვანელოს, რომელიც დროის ჭრილში განსხვავებულია, ესენია:

- 1) **English 8** - „გამომცემლობა განათლება“ - თბილისი 2004,
- 2) **New Inspiration 2** - „გამომცემლობა Macmillan“ - ლონდონი 2011,
- 3) **New Building Bridges 8** - „ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ - თბილისი 2020.

1) English 8

ეს არის მხოლოდ მოსწავლის ტრადიციული სახელმძღვანელო, სადაც გრამატიკული მასალასთან კავშირში ხდებოდა მოცემული სიტუაციების, არაავთენტური ტექსტების, დიალოგების და დავალებების შერჩევა. დღეს კი გრამატიკის შესწავლა მიზნის მისაღწევი ისეთივე საშუალება გახდა, როგორც, მაგალითად, ახალი სიტყვების შესწავლა, წარმოთქმა და სწორად მართლწერა. მოცემული სახელმძღვანელო აგებულია, ინგლისური ენის ტრადიციულ კითხვის მეთოდებზე დაყრდნობით.

მოცემული სახელმძღვანელო შედგება 15 სრული თავისაგან. წიგნის პირველი თავი და ზოგადად ყველა თავი იწყება წინარე ცოდნის გააქტიურებით. ასევე უნდა

აღინიშნოს, რომ თითოეულ თავში არ არის გრამატიკა და ლექსიკა გაერთიანებული პირიქით, თითოეული თავი დაყოფილია 4 ქვეთავად და 1 თავი ეთმობა გრამატიკას, გრამატიკის შესწავლის შემდეგ, ხდებოდა მისი რეალიზება სხვადასხვა ლექსიკური საკითხის მეშვეობით, მაგალითად თუ გრამატიკული თემა იქნებოდა წესიერი და არაწესიერი ზმნები, მათი შესწავლის შემდეგ წაკითხავდნენ ტექსტს, არაწესიერი და წესიერი ზმნების გამოყენებით. ტექსტები შეიძლება ყოფილიყო, როგორც მხატვრული, დიალოგის სახით და ასევე არაავთენტური, შეთხზული მასალა. თანამედროვე სახელმძღვანელოსაგან განსხვავებით, აქ მთელი წიგნი არ არის აგებული პერსონაჟზე, პირიქით ყველა ტექსტი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ძველ სახელმძღვანელოში, ასევე აღსანიშნავია წერიტი დავალებები, რომლებიც თითქმის ყველა თავის ბოლოს არის მოცემული.

ძველ სახელმძღვანელოში, 15 სრული თავის შემდეგ მოცემულია არაწესიერი ზმნები ტრანსკრიბციებით, შემდეგ გრამატიკული საკითხები, კერძოდ გრამატიკული დროები, როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად ახსნილი და სიტყვათწარმოება ცხრილის სახით მოცემული. თითოეული საკითხი, მოსწავლესათვის იყო დამატებითი შესაძლებლობა, რომ უფრო გაეუმჯობესებინათ ცოდნა გრამატიკულ საკითხებში. მათ შემდეგ, მოცემულია დამატებითი ანუ კლასგარეშე ტექსტები, რომლის მიხედვითაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებოდათ, დამატებით შეეძინათ კარგი კითხვის უნარები. სახელმძღვანელოს ბოლოს, ჩვეულებისამებრ, როგორც ყველა სახელმძღვანელოში მოცემულია ლექსიკონი და სარჩევი. ლექსიკონში სიტყვები კი მოცემულია, როგორც ქართული განმარტებით, ასევე ტრანსკრიბციითაც.

3) New Inspiration 2

ეს არის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი უცხოური ენის რეცეფციული (კითხვა/ მოსმენა) და პროდუციული (ლაპარაკი/წერა) უნარების მე-8 კლასებისთვის განსაზღვრული სტანდარტის ყველა საჭირო კომპონენტს.

კურსი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- 1) მოსწავლის სახელმძღვანელო;
- 2) მოსწავლის სამუშაო რვეული;
- 3) მასწავლებლის წიგნი;
- 4) ტესტების კრებული
- 5) აუდიო ვერსია CD.

თითოეული კურსის მიზანია, მოსწავლეებმა მეტი მოტივაცია და სტიმული შეიძინონ. განვიითარონ უცხო ენის ოთხივე უნარი (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი), გაიღრმავონ ენობრივი კომპეტენციები, ლინგვისტური და საკომუნაკაციო უნარები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

New inspiration 2 გათვლილია ოთხივე უნარზე (კითხვა, წერა, მოსმენა და ლაპარაკი). ეს არის საბაზო და საშუალო - II დონე (ს. II). მოსწავლის სახელმძღვანელო, რომლის თემატიკაც შესდგება 8 სრული და 4 ქვეთავისაგან. ყველა სრული თავის დასასრულს მოცემულია განმეორება („Revision“). სახელმძღვანელოში მოცემულია ილუსტრაციები, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება საკითხი შესწავლამდე აღწეროს სურათების დახმარებით. თითოეული ლექსიკური ტექსტი არის, როგორც დიალოგის სახით, ასევე ყოფითი სახის ინფორმაციული ტექსტები (მაგ: საქმიანი განცხადება, ინტერვიუ, ტელეპროგრამა) და გაიგოს ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაცია .

- ა) ჯერ კითხულობს და მერე იგებს საქმიან განცხადებებს;
- ბ) კითხულობს და იგებს ინტერვიუს , რეპორტაჟს.

სახელმძღვანელოში არის ასევე სარეკლამო ხასიათის ტექსტებიც (ტურისტული ბუკლეტი, აფიშა, ანონსი) და თხრობითი ტექსტი (ცხოვრებისეული ისტორია, მოგონება, დღიური) . თითოეული სრული თავის დამთავრების შემდეგ შემეცნებითი ტექსტები სხვადასხვა თემაზე (მაგ: კულტურისა და საბუნებისმეტყველო სფეროებიდან).

მოსწავლის სამუშაო რვეული ეხმარება მოსწავლეებს, უფრო უკეთესად გაიღრმავონ ცოდნა შესწავლილ მასალაზე. რვეულში მოცემულია, როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული საკითხები, პრაქტიკული და შემაჯამებელი დავალებები.

მოსწავლის აუდიო CD, ეხმარება მოსწავლეებს განივითარონ მოსმენის და ლაპარაკის უნარები. თითოეულ ლექსიკურ თემატიკას თან ახლავს მოსასმენი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს მარტივად შეასრულონ მოსმენითი დავალებები. შესწავლილ თემატიკაში, ლექსიკური საკითხების, შემდეგ მოცემულია გრამატიკული საკითხები.

მასწავლებლის წიგნი ეს არის მასწავლებლის დამხმარე სახელმძღვანელო. იგი პედაგოგს ეხმარება, რათა მარტივად განსაზღვროს ყოველი თემატიკა, თუ რა უნარებზეა იგი გათვლილი ან როგორ დაგეგმოს ისა თუ ის საკითხის აქტივობა გაკვეთილზე. ა.შ.

ამრიგად, თითოეული კომპონენტი აუცილებელია მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისათვის. სახელმძღვანელოს თითოეული კომპონენტი მოიცავს კომუნიკაციურ მიზნებს (“Communicative Aims”), ლექსიკონს (“Vocabulary”), გრამატიკას (“Grammar”), და სწორად წარმოთქმას (“Pronunciation”). სახელმძღვანელოში გამოყენებულია, აუდიოლინგვალური მეთოდი, კითხვის მეთოდები, წერისა და ლაპარაკის სტრატეგიები. ერთ-ერთის გამოტოვების შემთხვევაში მიზანი სრულად ვერ მიიღწევა.

3)New Building Bridges 8

New Building Bridges 8 წარმოადგენს ორ სერიად დაყოფილი უცხო ენების კურსის ნაწილს და მოიცავს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი უცხოური ენის რეცეფციული (კითხვა/ მოსმენა) და პროდუციული (ლაპარაკი/წერა) უნარების მე-8 კლასებისთვის განსაზღვრული სტანდარტის ყველა საჭირო კომპონენტს.

კურსი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- 1) მოსწავლის წიგნი გრამატიკული ცხრილებითა და ტესტებით;

2) მოსწავლის სამუშაო რვეული;

3) მასწავლებლის წიგნი (დამატებითი აქტივობებით, რესურსების ბანკით და მოსასმენი მასალის ბეჭდური ვერსიებით);

4) ატვირთული აუდიოების მასალა გამომცემლის საიტზე.

კურსის მიზანია მოსწავლეებმა სრული მოტივაციით და სტიმულირებით შეისწავლონ უცხო ენა. გაიღრმავონ ენობრივი კომპეტენციები და საკომუნიკაციო უნარები, რაც პირველი 7 წლის განმავლობაში შეისწავლეს.

კურსის სტრუქტურა:

მოსწავლის სახელმძღვანელო (Student's Book) 105 საგაკვეთილო საათზეა გაანგარიშებული. იგი 7 შედგება თავისაგან და სრული მასალის ერთიანი განმეორებისაგან (Big Revision) შედგება. წიგნს თან ახლავს დანართები (APPENDIX) აღდგომასა და შობასთან დაკავშირებული მასალით.

მოსწავლის სამუშაო რვეული (Work Book) მიზანია, მოსწავლეებმა ლექსიკურ და გრამატიკულ საკითხზე და მასალაზე დამატებით ივარჯიშონ. რაც უფრო ეხმარება მოსწავლეებს უფრო გაიღრმავონ კითხვისა და წერის უნარები. სახელმძღვანელოში მოცემული მასალა შეიძლება 4 კატეგორიად დაიყოს

1) დამატებით ლექსიკური მასალა ;

2) გრამატიკული სავარჯიშოები;

3) საწერი მასალა;

4) დამატებითი ტექსტები (განავრცობს კითხვის, ლექსიკურ და გრამატიკულ საკითხებს).

წიგნში მთავარი გმირები არიან: ბრაიანი, სარა, სელია, საიმონი, ჯილი და ეიმი. თითოეული თავი შედგება 5 გაკვეთილისაგან. წიგნი იწყება შესავალი გვერდებით (In this unit you will...) და მთავრდება პროექტების და თვითშეფასების გვერდით. (For My Portfolio).

For My Portfolio - იგი მოიცავს 2 პროექტს და „სასწავლო დღიურს“ (My learning Diary) მოიცავს. მოსწავლეებს პროექტები აძლევს შესაძლებლობებს, რომ დამოუკიდებლად მუშაობისათვის აირჩიონ დავალებები კლასში ან სახლში.

სასწავლო დღიური (My learning Diary) - მოსწავლეებს სთავაზობს განვლილი მასალის მთელ ნუსხას.

მოსწავლის სახელმძღვანელომ შემდეგი რუბრიკებია:

1. **Word spot** - ლექსიკა
2. **Do you remember?** - ამ რუბრიკით ხდება საკითხის ხელმეორედ გამეორება და შემდეგ გამყარება.
3. **Remember** - მნიშვნელოვანი საკითხის დამახსოვრება.
4. **Speaking** - სასაუბრო თემა.
5. **Everyday English** - ყოველდღიური სასაუბრო ინგლისური.
6. **Culture corner** - კულტურის შესახებ დამატებითი მასალა.
7. **Did you know ?** - დამატებითი ინფორმაციის მიღება.

ამრიგად, თუ დავაკვირდებით სამივე სახელმძღვანელო თავისებურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ პირველი სახელმძღვანელო მოიცავს უფრო მეტად კითხვისა და წერის სტრატეგიებს და არის არაავთენტური ტექსტები, მაგრამ თანამედროვე, მეორე და მესამე სახელმძღვანელოებში ვხედავთ უფრო მეტ დამატებით და აუცილებელ უნარებს, როგორცაა მოსმენა და ლაპარაკი.

პირველ სახელმძღვანელოში, თუ არ გვაქვს, არანაირი დამხმარე სახელმძღვანელოები (მაგ: მოსწავლის სამუშაო რვეული, მასწავლებლის წიგნი და აუდიო ვერსია) , დღეს თანამედროვე წიგნი ამ ყველაფერს მოიცავს, რომლებიც აუცილებელია. იმისათვის რომ, მოსწავლე ოთხივე უნარზე (მოსმენა, წერა,ლაპარაკი და კითხვა) გავიდეს, ეს ყველაფერი საჭიროა, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის.

პირველ სახელმძღვანელოში, ნაკლებად შევხდებით გრამატიკული და ლექსიკური საკითხების ერთიანობას, მაგრამ თანამედროვე წიგნებს, თუ დავაკვირდებით ეს ყველაფერი გაერთიანებულია და ლექსიკურ საკითხთან ერთად, ხდება გრამატიკული საკითხების შესწავლა.

პირველ სახელმძღვანელოში, მაგალითისთვის მოვიყვან ერთ - ერთ გრამატიკულ საკითხს ახლანდელი მარტივი დრო - (The present simple). მოცემული საკითხი სამივე სახელმძღვანელოში განსხვავებულად გვევლინება, პირველ სახელმძღვანელოს თუ შევხედავთ ახლანდელი მარტივი დრო - (The present simple) ცალკე საკითხად არის მოცემული და 1 სრული თავი ეთმობა ამ გაკვეთილს. შემდეგ კითხულობენ ტექსტს, რომელიც არის ახლანდელ დროზე და წაკითხვის შემდეგ შეუძლია გამოიცნოს ახლანდელი დროის ფორმები, მაგრამ თუ შევხედავთ იგივე თემატიკას მეორე და მესამე სახელმძღვანელოში, დავინახავთ, რომ გრამატიკული და ლექსიკური საკითხი ერთიანად არის მოცემული, შეუძლია მოსწავლეს მეორე სახელმძღვანელოს მიხედვით იმუშაონ სამუშაო რვეულში და გაიღრმავონ ცოდნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე თუ დავაკვირდებით მესამე სახელმძღვანელოში უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება მოსწავლეს აუდიო ვერსიით შეასრულოს მოსმენითი გრამატიკული დავალებები და სამუშაო რვეულის დახმარებით უფრო განავრცონ მათი შესწავლილი მასალა.

დასკვნა

როგორც დავრწმუნდით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. ჩატარებულმა კვლევების მიხედვით კარგად ჩანს, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა საგაკვეთილო პროცესში გრამატიკულ-მთარგმნელობით და შერეულ მეთოდებს იყენებს. მეთოდების გამოყენებისას, უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ კომბინირებულს. იმისათვის რომ, მოსწავლე გავიდეს შედეგზე, მასწავლებელმა ყოველთვის უნდა შეეცადოს, მოსწავლეებს შეძლებისდაგვარად და საჭიროებიდან გამომდინარე შეურჩიოს სასწავლო მიდგომები, რადგან საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და მოსაწყენი მოსწავლეებისათვის.

მე, როგორც დამწყები ინგლისური ენის მასწავლებელი, ჩემი მოსაზრებაა, რომ ყოველი ახალი გაკვეთილის დაგეგმვისას, მასწავლებელმა გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის უნარები და იზრუნოს მათ განვითარებაზე და გაუმჯობესებაზე.

იმისათვის, რომ კვლევა უფრო ნათელი ყოფილიყო ყველასათვის, მაგალითისთვის მოვიყვანე სხვადასხვა პერიოდის მე- 8 კლასის ინგლისური ენის წიგნი. შედარებითი ანალიზი გავაკეთე ამ სახელმძღვანელოებზე და შედარების შემდეგ ცხადი გახდა, რომ რაც უფრო ახალია სახელმძღვანელო, მით უფრო სხვადასხვა ახალ უნარს იძენს მოსწავლე, ეს კი მოსწავლესათვის დიდი მოტივაცია და სტიმულია.

ვფიქრობ, რომ ნებისმიერ სახელმძღვანელოს თავისი მიდგომა სჭირდება, იმის მიუხედავად თუ წიგნი როგორაა სტანდარტებზე გათვლილი, მასწავლებელმა უნდა შეძლოს და მოსწავლეები გაიყვანოს ოთხივე უნარზე. მასწავლებელმა უნდა დაუგეგმოს დამატებითი აქტივობები და კლასგარეშე დავალებები, რადგან მოსწავლეებს ჰქონდეთ უფრო დიდი მოტივაცია და სტიმული საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით. უარყოფითი რაც კვლევაში დავინახეთ, ის არის, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა საშინაო დავალებას არ ასრულებს, რაც გამოსწორებადია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგობიანი ლ., უცხოური ენების სწავლების თეორია და მეთოდოლოგია, „ენა და კულტურა“, თბილისი, 2004.
2. გამსახურდია ს., მეცნიერება და საგანმანათლებლო დედაობა ძველ საქართველოში, სსრ საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 1968.
3. შავერდაშვილი ე., უცხო ენების სწავლების საფუძვლები, თბილისი 2014.
4. ჯაფარიძე ზ., ინგლისური ენის სახელმძღვანელო English 8, თბილისი, 2004.
5. ჯაფარიძე თ., მოსწავლის წიგნი New Building Bridges 8 , „ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ - თბილისი 2020.
6. ჯაფარიძე თ., მასწავლებლის წიგნი New Building Bridges 8 , „ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ - თბილისი 2020.
7. ჯაფარიძე თ., მოსწავლის სამუშაო რვეული, New Building Bridges 8 , „ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ - თბილისი 2020.
8. Garton- Sprenger Judy., Student’s Book New Inspiration 2 English 8, Macmillan, London, 2011.
9. Garton- Sprenger Judy., Student’s Work-Book New Inspiration 2 English 8, Macmillan, London, 2011.
10. Garton- Sprenger Judy., Teacher’s Book New Inspiration 2 English 8, Macmillan, London, 2011.
11. https://www.academia.edu/2994975/The_Writings_of_Harold_E_Palmer_An_Overview_book_
12. https://www.researchgate.net/publication/293731529_Audio_Lingual_Method

13. http://elib.gnpbu.ru/textpage/download/html/?bookhl=&book=scherba_yazykova_ya-sistema--deyatelnost_1974
14. <http://flibusta.site/b/425406/read>